ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903–1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№55 (1493) 31.X.–4.XI, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეცხრე ბლოკი კვლავ გამოირთო

როგორც სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში „საქენერგო-გენერაციის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ გ.მაყაშვილმა განაცხადა, მეცხრე ბლოკზე დამთავრდა გერმანული კრედიტით გათვალისწინებული სტაბილიზაციის პროგრამის შესრულება. აღნიშნული ბლოკი 27 ოქტომბერს ჩაირთო და 15 საათის განმავლობაში იმუშავა, მაგრამ სათბობის უქონლობის გამო გამოირთო. დღეისათვის მუშაობს მხოლოდ მესამე ენერგობლოკი. დანარჩენი ბლოკები ამორთულია სისტემიდან, მათი რემონტისათვის სახსრების უქონლობის გამო. რეზერვშია მერვე და მეცხრე ენერგობლოკები. მეოთხე ბლოკზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. რესპუბლიკა დღე-ღამის განმავლობაში ღებულობს 24–25 მლნ. კვტსთ. ელექტროენერგიას, რაც წყალსაცავებში საკმარისი რეზერვით – ერთი მილიარდი კვტსთ. ელექტროენერგიის ექვივალენტის წყლის არსებობითაა გამოწვეული.

ზამთრისათვის რესპუბლიკა დღე-ღამეში მიიღებს 23–24 მლნ. კვტსთ. ელ.ენერგიას, რაც შარშანდელ ზამთართან შედარებით 25–30 %-ით მეტია.

„თბილსრესმა“ ზამთრის პერიოდში (5 თვის განმავლობაში) ელ.ენერგიის სტაბილურად მიწოდებისათვის უნდა გამოიმუშაოს ერთი მილიარდ შვიდასი მლნ. კვტსთ. ელ.ენერგია, რისთვისაც საჭიროა 25 მლნ. $-ის 400 მლნ. კუბური მეტრი ნორმალური გაზი.

გ.მაყაშვილის თქმით, ზამთრის პერიოდისათვის „თბოელექტროცენტრალი“ თბილისის ოთხ რაიონს – მთაწმინდის, ისნის, ჩუღურეთის და კრწანისის რაიონებს უზრუნველყოფს გათბობით.

იპრინდა

## პატარა ფერიების კონკურსის ჩატარება დიდ საზიზღრობად იქცა

მესამე გვერდი

## გრძელდება ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის გამოუქვეყნებელი სტენოგრამის პუბლიკაცია

მეორე გვერდი

## პირიმ მონასტერი...



ჩერნომირდინი: რა დრო დამრჩა პრეზიდენტობამდე

მეექვსე გვერდი

მომდევნო ნომერში გაგრძელდება «დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის» განხილვა

## კახა თარგამაძე:

### «არ შეიძლება სახელმწიფომ ის ტოტი მოჭრას, რომელზეც თავად ზის» ანუ რეფორმა კარგია, თუ დისკომფორტს არ შეგვიქმნის...

„ჩვენ ჩვენს პოზიციებს დავიცავთ“, „რასაც ვიტყვი, შევასრულებ“, „ჩვენ გავიმარჯვებთ“ – ეს სიტყვები ბრძოლის ველზე არ თქმულა, ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მინისტრ კახა თარგამაძის მიერ 29 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე იყო ნათქვამი...

*მინისტრი ანგარიშს აბარებს*

ცხრა თვის მონაცემებით, სისხლის სამართლის დანაშაულის 8912 ფაქტიდან 7563 იქნა გახსნილი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთაგან, რომელმაც 2846 შეადგინა, 2329 შემთხვევაში აღმოჩენილ იქნა დამნაშავე. საგრძნობლად შემცირდა სახელმწიფო და პირადი ქონების დატაცების ფაქტები (50,5%-ით). გახსნილია 1991–95 წლებში ჩადენილ დანაშაულთაგან 1542 სისხლის სამართლის საქმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის 580 მკვლელობა. მინისტრმა აღნიშნა, რომ პრაქტიკულად აღარ ხდება საავტომობილო გზებზე ყაჩაღობები. გაიზარდა ნარკობიზნესით დაკავებულ პირთა მხილების ფაქტები. პრეზიდენტის მითითებით უშიშროების საბჭოსთან შეიქმნა ნარკობიზნესთან და არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლის კომისიები, რომელთა მუშაობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს. თუ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე კრიმინოგენული ვითარება შედარებით სტაბილურია, ეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი თანამშრომლების დამსახურებაა. ეს სტაბილურობა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას.

*რეფორმატორები თუ ანტირეფორმატორები?!*

შინაგან საქმეთა სამინისტრო რეფორმას საჭიროებს! ასე ჩათვალა პარლამენტმა და წარმოდგენილ იქნა რეფორმის პროექტის პირველი ვარიანტი, რაც კატეგორიულად უარყოფილ იქნა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ: „ჩვენ ძალზე წამგებიან პოზიციაში აღმოვჩნდით პარლამენტში. ვიბრძოდი ერთი ოცის წინააღმდეგ“ – ბრძანა კ.თარგამაძემ. დაპირისპირება კი გამოიწვია სტრუქტურულ-ფუნქციონალურმა დაყოფამ შსს-ში, რომელსაც საპარლამენტო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებდა. მინისტრს მიაჩნია, რომ ის სტრუქტურული წყობა სამინისტროსი, რომელიც დროით გამოიცადა, გადახალისებისა და შევსების შემდეგ შესანიშნავად იფუნქციონირებს და პროექტი კი, რომელიც შემოთავაზებული იყო პარლამენტის მიერ, თეორიული ცოდნით აღჭურვილი, მაგრამ პრაქტიკის არამქონე პირთა შედგენილია. შეუძლებელია ოპერატიულ სამსახურს ჩამოერთვას საგამომძიებლო ფუნქცია, განაცხადა კ.თარგამაძემ. მას მიაჩნია, რომ „არ შეიძლება სახელმწიფომ ის ტოტი მოჭრას, რომელზეც თავად ზის“.

კამათი შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ცვლილებათა შესახებ გრძელდება. შსს მინისტრი მყარ პოზიციას აღგას, თუმცა მას ამისთვის ანტირეფორმისტად ნათლავენ.

გაგრძელება მე-3 გვ.

## საშიში, საშიში, საშიში სიტყვა - ოპოზიცია

მეხუთე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არჩინბა ქართველ მოსახლეობას დახვრეტით დაემუქრა

სოხუმის მომავალი პარლამენტის 35 სადეპუტატო ადგილიდან, ქართველებზე გათვალისწინებული 13 ადგილის თაობაზე თ.ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ დღეს მხოლოდ 3 კანდიდატია დაფიქსირებული. სამივე აფხაზი სეპარატისტია, მხოლოდ გვარია მითითებული ქართული – მსოფლიოს დასანახად. მისივე თქმით, საქართველოდან მოუწოდებენ აფხაზეთში მყოფ ქართველებს – არ მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, თუმცა მათი სიცოცხლის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი არ არსებობს. სწორედ ამ მიზეზით, თ.ნადარეიშვილის თქმით, ასევე მოუწოდებენ ქართულ მოსახლეობას დატოვონ აფხაზეთი და გადმოვიდნენ ენგურზე. დღეისათვის 1000-ზე მეტი ქართველია აღნიშნული მიზეზით ჩამოსული, მათ შორის 300 ბავშვი. თ.ნადარეიშვილის თქმით, აფხაზები უკვე დაემუქრნენ ქართველ მოსახლეობას დახვრეტით, თუ არ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში.

იფრინდა

## საქართველოში არსებული სიწმინდეები საქართველოში უნდა დარჩეს

საგენტოს კორესპონდენტისათვის საპატრიარქოდან ცნობილი გახდა, რომ საქართველოში არსებული სიწმინდეების რუსეთში გატანის თაობაზე არსებობს აზრი – თუ იქნება ორმხრივი სურვილი, შესაძლებელია საქართველოდან რუსეთში საგამოფენო ექსპონატად დროებით ჩააბრძანონ ზოგიერთი სიწმინდე, ისევე, როგორც ეს მოხდა საბერძნეთიდან მოსკოვში წმინდა პანტელეიმონის ნაწილების გამოფენასთან დაკავშირებით. რაც შეეხება შეშფოთებას რუსეთისათვის მათი ჩუქების შესახებ, საპატრიარქომ ეს აზრი კატეგორიულად უარყო.

იფრინდა

# ვინ იყო ვინ?

## მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# დოკუმენტური ისტორია ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საქართველო“ №51,52,53,54.

**ქვეყნდება პირველად**

### სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა 1977 წლის 1 აპრილი

### თავმჯდომარეობს – გრიგოლ აბაშიძე

გ.ასათიანი – ყველამ თქვა და მეც უნდა ვთქვა – ძალიან მტკივნეული საკითხია. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. მე არა მგონია, რომ ამ დარბაზში იყოს მწერალი, რომელიც პირად მტრად თვლიდეს ზვიად გამსახურდიას. მე ესეც მაწუხებს, მე მინდა ზვიადს მივმართო და თუ ის ობიექტურად შეაფასებს, ძნელია ასე დაცილდეს პირად განცდას.

მე მგონია ყველა, ვინც აქ არის, აბსოლუტური უმრავლესობა ისაა, რომელთაც ყველაზე მეტად იციან კონსტანტინე გამსახურდიას ფასი. უფრო მეტი, ეს ის ადამიანები არიან, არამარტო უფროსები, არამედ შუა თაობა, რომლებიც ზვიადის ოჯახს იცნობენ, მის ღვთისნიერ დედას, შესანიშნავ დას და ასაგები უნდა იყოს ჩვენი გრძნობები.

აქვე ითქვა და კიდევ მინდა გავიმეორო, რომ რასაკვირველია, ჩვენი დღევანდელი საუბარი ნაგვიანევია. უნდა გვეცადა ყველ ჩვენგანს (ჩემგან დავიწყებ), რომ ეს დღე არ დამდგარიყო.

იმის მიხედვით, რაც მე მსმენია, რასაც გავეცანი გუშინ, მე შემექმნა ასეთი შთაბეჭდილება – მე ვფიქრობ, ის გზა, რომელიც ზვიადმა აირჩია, მცდარია და სარისკო. ეს ის საქმიანობაა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ძალიან მწარე შედეგები, ისეთი სავალალო შედეგები, რომელსაც ერთი ადამიანის ცხოვრებაც კი ვერ გამოისყიდის. მე ასე მჯერა, ამის თქმის უფლებას მაძლევს გამოცდილება, რომელიც შეუძენია უფროსი თაობის მწერლებს, კონსტანტინე გამსახურდიასა და მისი თაობის მწერლებს.

საბოლოოდ გავიმეორებ, ის, რაც აქ ითქვა, – ყველა ორგანიზაციას აქვს თავისი პრინციპები, თავისი წესდება და თუ რომელიმე უპირისპირდება ამ პრინციპებს, ის აყენებს თავს ამ ორგანიზაციის გარეშე.

ზვიად გამსახურდიას ადგილზე მე პირადად უფრო ადრე დავწერდი განცხადებას იმის შესახებ, რომ გამოგვეყვანა კავშირიდან.

თავმჯდომარე – შემდეგ კიდევ ვის სურს გამოსთქვას აზრი?

კ.მარგიევი – მე ამ მასალებს არ ვიცნობ. ვიცნობ მხოლოდ გაზეთებში დაბეჭდილ მასალას. დღეს ვხედავ პირადად ამ შესანიშნავ ახალგაზრდას, მაგრამ მე თანახმა ვარ პრეზიდიუმის აზრისა.

თავმჯდომარე – ფრიდონ!

ფრ. ხალვაში – ამხანაგები გამოვიდნენ. მე ვეთანხმები ამხანაგების აზრს. სხვა მხრივ საქმის კურსში მე არ ვარ, გარდა იმისა, რაც პრესაში იყო და უმრავლესობის აზრს ვუჭერ მხარს.

თავმჯდომარე – რომან, თქვენ ხომ არ გნებავთ რამე?

რ.მიმინოშვილი – ძალიან ძნელია ლაპარაკი. გვიან შემოვედი. აქ რაზე იყო საუბარი, მე არ ვიცი, მაგრამ რამდენადაც ვატყობ, პატივცემული ზვიადი უარყოფს იმას, რომ ეს გამოცემები მისი ინიციატივით ხდებოდა.

პრესაში რაც გამოქვეყნდა მასალა, ეს მხოლოდ ნაწილია, რის საქმის კურსში შეიძლება იყოს განყოფილება.

აქ რომ მოვდიოდი, მე ზოგიერთი რამ მოვიტანე (გადასცემს გრ.აბაშიძეს) და ზოგი რამ გამგეს აქვს. ეს არის „თავისუფლების ტრიბუნა“, სადაც დაბეჭდილია ზ.გამსახურდიას სიტყვა და აგრეთვე კ.გამსახურდიას გამოუქვეყნებელი ნოველა, და რამდენადაც მე ვიცი, კ.გამსახურდიას არქივზე არავის არ მიუწვდება ხელი.

(თავმჯდომარე – ეს არის ემიგრანტული ჟურნალი?) დიახ, ეს არის ემიგრანტული ჟურნალი, რომლის სარედაქციო კოლეგიაში შედიან გ.წერეთელი, მ.ნოზაძე და... ზვიად გამსახურდიას ღია წერილი პროფ. ლენგს.

ზ.გამსახურდია – ეს ჩემია, მე ვაწერ ამას ხელს. ეს წერილი მე გავუგზავნე დევიდ ლენგს. ასევე ხვდება „თავისუფალ ხმაში“ ყველაფერი. ვის მიაქვს, მე არ ვიცი.

რ.მიმინოშვილი – აი ეს ერთგვერდიანი ამონაწერი „საქართველოს მოამბიდან“. აქ არის ჩამოთვლილი ის პირები, რომლებიც მოსკოვში ხელმძღვანელობენ ე.წ. ადამიანთა უფლებათა დაცვას და მათი წერილია, რომელსაც ხელს აწერენ აკად. სახაროვი, ტვერდოკრედოვი და ჭელიძე და იტყობინებიან „საბჭოთა კავშირში ადამიანთა უფლებათა დაცვის ჯგუფი... (კითხულობს)... შემდეგ ამას მოსდევს ადამიანთა უფლებათა დაცვის საინფორმაციო ჯგუფი საქართველოში „ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფი ჩამოყალიბდა საქართველოში 1974 წელს – ჯგუფი მიზნად ისახავს შეისწავლოს... (კითხულობს ... ჯგუფის წევრები: ზ.გამსახურდია, მ.კოსტავა, ვ.რცხილაძე და სხვანი. „ოქროს საწმისის“ შესახებაც იგივე მდგომარეობაა.

ზ.გამსახურდია – რასაც მე ვაწერ ხელს, ის არის ჩემი, რაც შეეხება მაგ ჯგუფს – ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფს, საბჭოთა კავშირმა მოაწერა პირველმა ხელი.

რ.მიმინოშვილი – ამ „ოქროს საწმისთან“ დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, „ოქროს საწმისში“ არის კ.გამსახურდიას გამოუქვეყნებელი ნაწარმოები. საიდან ღებულობს რედაქცია? (ზ.გამსახურდია – მთელს ქალაქში დადის ეს), აი ეს არის ჩემი ინფორმაცია.

თავმჯდომარე – რეზო!

რ.ჯაფარიძე – მეგობრებო, ალბათ, თითოეული ჩვენგანი დათმობდა თავისი სიცოცხლის რამდენიმე წელს, რომ ეს ამბავი არ მოსწრებოდა. მე დავთმობდი რამდენიმე წელს, რომ არ მჭირდებოდეს აქ გამოსვლა. ჯობია მოკვდე. მე არ ვიტყვი რატომ, რა ურთიერთობა მქონდა კ.გამსახურდიასთან, როგორ მიყვარს ზვიადი, მაგრამ აქ რომ ბრძანდებოდეს, ჩვენს პრეზიდიუმზე, ბატონი კონსტანტინე, ისიც ასე იტყოდა.

არსებობს წესდება და ფორმალური ლოგიკა მოითხოვს, როცა არ ეთანხმები ამ წესდებას, შენ თვითონ დაწერო განცხადება და არ ჩაგვაყენო ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში.

კარგი იყო, რომ ზვიადს ასე გაეკეთებინა და ძალიან ვწუხვარ და იძულებული ვარ ყველა იმის გამო, რაც ჩვენთან არის აქ, მხარი დავუჭირო ამ წინადადებას.

თავმჯდომარე – მურმან!

მ.ლებანიძე – გაოცებული ვარ იმ მდგომარეობით და ჩემს გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული და სამტკიცებ[illegible], ხდება ჩვენს სხდომაზე, როგორც ბატონი ზვიადი აცხადებს, არის თუ არა ის ყველა ამ მასალის ორგანიზატორი, რედაქტორი და რედაქტორ-გამომცემელი.

თავმჯდომარე – ამხანაგებო, მე ოფიციალურად ვაცხადებ – როცა ეს საკითხი დაისვა, ჩვენ გვითხრეს, რომ ყველაფერი დოკუმენტირებულია და ნუ გავხდით სადაოს, და თუკი ზვიადი დაამტკიცებს, ჩვენ არ გაგვიჭირდება სხვანაირად ვიმსჯელოთ.

მ.ლებანიძე – მაინც ნუთუ ზვიადს არ დაუძახეს და დღეს სალაპარაკო ხდება – არის თუ არა რედაქტორი. დღეს ზვიადი აქ უნდა მოსულიყო აბსოლუტურად განიარაღებული, აბსოლუტურად შემზადებული, რომ ეთქვა – კი, ბატონო! ამის შემდეგ უნდა მოხდეს ზვიადის ალსარება და სად? – სხვაგან, ისე, რომ ჩვენ არ გვეცოდინება.

თუ ის მარტო გურამ რჩეულიშვილის კეთილი მოსაგონარის ავტორია, მაშინ ულოგიკოა მისი გარიცხვა. მაგრამ თუ ის იმ ჟურნალის რედაქტორია, სადაც პროკლამაცია და მაღლაკელიძის მოსაგონარია დაბეჭდილი, მაშინ მისთვისაც და ჩვენთვისაც ნათელია, რომ ის გაირიცხება.

თავმჯდომარე – კიდევ თუ დარჩა ვინმე?

შ.ნიშნიანიძე – ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რაც აქ ითქვა, თუ ეს ბრალდებები დოკუმენტირებულია. კარგია თუკი ზვიადი მოახერხებს თავის მართლებას, მაგრამ თუ ეს ვერ მოახერხა, მაშინ საჯაროდ, პრესაში აღიაროს შეცდომები, ეს ბევრ რამეს ნიშნავს. მას ისეთი აღზრდა აქვს, ისეთ გარემოშია აღზრდილი, რომ არ შეიძლება ერისათვის სასარგებლო არ იყოს განათლების გამო, წიგნიერების გამო, ხომ შეუძლია ისე ითანამშრომლოს, რომ ერისათვის სასარგებლო იყოს. მე მგონია მთელი ქართული მწერლობისათვის ეს კარგი იქნება, თუ გამართლება და თავისთავის რეაბილიტაცია მოახერხა, ამ შეცდომის აღიარება ნიშნავს მისი სინდისის წინაშე ერთგვარ გამარჯვებას და პერსპექტივაში ჩვენთან იქნება ეს კაცი.

თავმჯდომარე. – ვინ დარჩა კიდევ?

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ფერიების კონკურსის ჩატარება დიდ საზიზღრობად იქცა

რაზეც ჩვენთან კულუარებშია ლაპარაკი, საზღვარგარეთ კარგახანია რომანების თემად იქცა. მაგალითად, მაყურებელი მიდის ფეხბურთის სტადიონზე, იღლეჯს ნერვებს, ისტერიამდე მისული ქომაგობს თავის გუნდს, არადა არავინ უწყის, რომ მატჩი გაყიდულია, შედეგი წინასწარ განსაზღვრული.

ან კრივი აიღეთ, ან სპორტის ნებისმიერი სახეობა. რამდენი საზღვარგარეთული დეტექტივი წაგვიკითხავს იმის შესახებ, რომ პატრონი დიდ ფულს ღუნავს გარიგების დროს. ცხადია, სპორტსმენთან შეთანხმებით და წილში გაყვანით.

უბრაგუნებენ ერთმანეთს მუშტებს გოლიათები და ორი სამი კაცის გარდა არავინ იცის, ბუნებრივად რომ გაადინა რინგზე ბრაგვანი „დამარცხებულმა", ეს წინასწარი გარიგების შედეგი იყო. ეს სენი არც საბჭოთა სპორტისთვის გახლდათ უცხო და არც დღეს არ უნდა იყოს საქმე სხვაგვარად.

თუმცა ეს დიდი თემაა და მასზე საუბარს დღეს არ ვაპირებთ. გვინდა ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ ფერიების კონკურსის შესახებ, რომლის ჩატარებაც ერთი შეხედვით მშვენიერი სანახაობა და სასიკეთო საქმეა. მაგრამ ახლა ამ კონკურსების კულუარულ პროცესს გადავხედოთ და შევუდაროთ ერთმანეთს პლუს-მინუსი.

გამარჯვებულ-დამარცხებულის დაფიქსირება დამარცხებულთათვის, რომელნიც გასაგები მიზეზის გამო ბევრად მეტნი არიან, ვიდრე კონკურსში გამარჯვებულნი, შეიძლება ტრაგედიად იქცეს. წარმოიდგინეთ დიდებიც კი როგორ განიცდიან ამა თუ იმ წარუმატებლობას და 10 წლის გოგონების სულზე როგორ აღიბეჭდება ეს ამბავი, როცა შეჯიბრია არა ვთქვათ ჭადრაკში, არამედ იმაში, თუ ვინ ვიზე ლამაზი და მშვენიერია.

მაგრამ ეს შეიძლება სადავო იყოს. იმაზე მოგითხრობთ, რაც სადავო არ არის და რაც მშვენიერთა კონკურსს ტრაგი-კომიკურ პროცესად აქცევს. მაგალითად, 24 ოქტომბერს ნაძალადევის რაიონში საფირმო გაერთიანება „თბილაბრეშუმ ცისარტყელას" კულტურის სახლში გაიმართა ნაძალადევის რაიონის ყველაზე საუკეთესო პატარა ფერიის გამოსავლენად კონკურსი. ჟიურის თავმჯდომარე ბესიკ ხინთიბიძე (სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორის მოადგილე), წევრები: რ-ის გამგებლის მოადგილე ბადრი ხურციძე, განათლების განყოფილების გამგე დემურ კალანდაძე და სხვა...

ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ნაძალადევის რ-ის ფერიათა დედოფლის წოდება მიენიჭა ნინო ნოზაძეს, რაც ბ-ნმა ბესიკ ხინთიბიძემ დამსწრეთ „აღფრთოვანებით" ამცნო, თან დაამატა: ნინო ნოზაძე, როგორც გამარჯვებული, მონაწილეობას მიიღებს 30 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ ქ.თბილისის ფერიათა კონკურსშიო. მანვე ნინოს 26 ოქტომბერს უარი უთხრა ამ კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე: კონკურსანტები განსაზღვრულია, ნომრები უკვე დარიგებულია და ვერ დაგამატებთო. ბავშვი ძალიან განერვიულდა, როგორც დედამ გვითხრა, ღამეები აღარ ეძინა... ნეტავ საერთოდ არ გამეყვანა არცერთ კონკურსზე – ჯავრობდა ქალბატონი! ბ-ნ ბესიკს კარგად რომ აეხსნა, რატომ არ შეეძლო ნინოს ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, ცეკავშირის შენობაში დაიბარა, სადაც წინასაკონკურსო რეპეტიცია მიმდინარეობდა. მოკიდა ბავშვს ხელი, სცენაზე აიყვანა და დამსწრე მშობლებს გამოუცხადა: „...24 ოქტომბერს აღფრთოვანებულს შემეშალა და წამომცდა, რომ ეს გოგონა მონაწილეობას მიიღებდა 30 ოქტომბერს გამართულ თბილისის ფერიათა კონკურსში. თანახმა ხართ? აწიეთ ხელი, გინდათ ჩაუსვათ თქვენს შვილებს კონკურენტი? ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე არც დაფიქრებულა. ნინო საშინლად აკანკალდა, ყველაფერი უთრთოდა, ცრემლები ახრჩობდა. მშობლები კი ერთიანად ახმაურდნენ, არც მათ შეუნიშნავთ ნინო. კი. ზოგი იძახდა: „თუ დიდებში ჩასვამთ, კი, ჩემი შვილი პატარებშია. იმდენი დრო და ენერგია დავახარჯე). მოკლედ უმრავლესობამ აწია ხელი – არ გვინდა. მხოლოდ ერთი მშობელი აღშფოთდა, წამოდგა და ხმამაღლა აყვირდა, აყოყინებული დარბაზი რომ გადაეფარა: „ესეც ხომ ბავშვია, რას ჩადიხართ, მიიღოს მონაწილეობა, თუ ჩემ შვილს ჯობია, აჯობოს, თუ ღირსეულად გაიმარჯვებს, მივცეთ უფლება".

ბესიკ ხინთიბიძემ ნუთუ 24 ოქტომბერს არ იცოდა, რომ რაიონის ფერიათა დედოფალს რატომღაც არ ჰქონდა კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება, როცა ამ საქმეს უკვე თურმე ხუთი თვეა უძღვება. „აღფრთოვანებით და შეშლით" ნათქვამმა, როგორც თავად ამბობს, მოზარდის სული არ უნდა დაგვამახინჯებინოს, არავის აქვს უფლება მომავალს ცხოვრების რწმენა და იმედი დაუკარგოს და ჩაუკლას. თუმც, თავად მისი აზრით, არაფერი სასწაული მომხდარა.

ბატონ ნოდარ ქუთათელაძის ჩარევით ნინო თბილისის ფერიათა კონკურსზე დაუშვეს, როგორც კონკურსგარეშე „სტუმარი", თუმც მას უკვე არაფერი აინტერესებდა, მკვდარი, სევდიანი თვალებით იყურებოდა ცეკავშირის ფანჯრის მინასთან მდგარი. ბოლოს, შინ მიმავალმა დედას უთხრა თურმე: „ისე მთმიკვდა გული, არაფერი აღარ მაინტერესებს, აღარც როგორც სტუმარს მსურს ამ კონკურსში მონაწილეობის მიღებაო"... აი, ერთი მოკლე სიუჟეტი ფერიების კონკურსის მოსამზადებელი ეტაპიდან. სხვა, უფრო მძიმე ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებულ სიუჟეტზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ირინე ვაჩარაძე

---

## კახა თარგამაძე:

### არ შეიძლება სახელმწიფომ ის ტოტი მოჭრას, რომელზეც თავად ზის ანუ რეფორმა კარგია, თუ დისკომფორტს არ შეგვიქმნის...

პირველი გვერდიდან

*შსს მინისტრი კითხვებზე პასუხს იძლევა...*

ჟურნალისტთა შეკითხვებს მინისტრმა რამდენადაც შესაძლებელი იყო ამომწურავი პასუხები გასცა.

– რა კომენტარს გაუკეთებდით ბარამიძის სიტყვებს: „კორუფცია შინაგან საქმეთა სამინისტროს სენია"?

– მე ის კაცი არ ვარ, რომ ვთქვა: შინაგან საქმეთა სამინისტროში კორუფცია არ არის! მიმდინარეობს თვითგანწმენდის პროცესი. სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ოთხმოცდასამი თანამშრომლის წინააღმდეგ. 257 კი სამსახურიდან იქნა დათხოვნილი. ეს ბოლო ცხრა თვის განმავლობაში. კადრების შერჩევა მკაცრად მიმდინარეობს. „მობრძანდით, ქრთამს მიგიღებთ!" – ამ პრინციპით ჩვენ არ ვმუშაობთ.

– თქვენი კომენტარი ელენე თევდორაძის ინფორმაციაზე, რომელმაც ამცნო საზოგადოებას, რომ უხეშად ირღვევა ადამიანთა უფლებები იზოლატორებში, კერძოდ, V იზოლატორში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ზემოქმედებას პატიმარზე?

– ეს ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება და როდესაც ქ-ნი ელენე ასეთ ინფორმაციას ავრცელებს, მე მიკვირს მას, რომ წინასწარ გადაამოწმებინა იგი.

– იგორ გიორგაძე რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება, ხომ არ დააკონკრეტებდით სად და თუ იცით მისი ადგილსამყოფელის შესახებ, რატომ არ აცნობებთ ამას თქვენს რუს კოლეგებს?

– ჩვენ ვაწვდით ჩვენს რუს კოლეგებს ინფორმაციას ამის თაობაზე, რის შემდეგ გიორგაძე აუცილებლად იცვლის ხოლმე მისამართს.

– საჭიროა თუ არა სიკვდილით დასჯის გაუქმება?

– მე სიკვდილით დასჯის გაუქმების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მაგრამ საჭიროა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საზოგადოება წინააღმდეგია სიკვდილით დასჯის გაუქმებისა. საჭიროდ მიმაჩნია მორატორიუმის გამოცხადება სიკვდილით დასჯაზე. თუმცა, პრაქტიკულად ეს უკვე ხორციელდება, რადგან წელიწადზე მეტია სიკვდილმისჯილთა განაჩენი სისრულეში არ მოყვანილა.

– ჩვენთვის ცნობილია, რომ კოდორის ხეობაში შეყვანილ იქნა პოლიციის დანაყოფები, რა მდგომარეობაა ამჟამად იქ?

– მოსახლეობა სიხარულით შეხვდა პოლიციელთა იქ ჩასვლას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მაღალ შეფასებას აძლევს ჩვენს მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩათვალა, რომ კოდორის ხეობაში კრიმინალური მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო პოლიციის დანაყოფები. თუ საჭიროდ ჩავთვლით, შევალთ აფხაზეთშიც, რადგან იგი საქართველოს ტერიტორიაა. პოლიციის დანაყოფების კოდორის ხეობაში შეყვანა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით არ მომხდარა. ეს შინაგან საქმეთა მინისტრმა გადაწყვიტა და პასუხისმგებლობაც, რომელიც ძალზე დიდი იყო, ჩვენ ავიღეთ ჩვენს თავზე.

როგორც დაიწყო, ისევე ოპტიმისტურად დაასრულა პრესკონფერენცია შინაგან საქმეთა მინისტრმა და იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ოპტიმიზმი მოჩვენებითი არ იყო.

ანა ჯუღელი

---

## მიხეილ სააკაშვილი:

# ბატონი კახა თარგამაძე ჩემთან პირისპირ არ რჩება

ამ ბოლო დროს გარკვეული დებატები მიმდინარეობს შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ კახა თარგამაძესა და პარლამენტის საკონსტიტუციო-იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ მიხეილ სააკაშვილს შორის. საკითხი ეხება საგამოძიებო დეპარტამენტის დამოუკიდებელ ორგანოდ გამოყოფას, რაც სასამართლო რეფორმითაა გათვალისწინებული.

ვინაიდან ეს საკითხი ბატონ კახას პრესკონფერენციაზეც წარმოჩინდა, გთავაზობთ ბატონ მიხეილ სააკაშვილის მოსაზრებასაც.

– ჩვენ გვქონდა საკომიტეტო მოსმენა სასამართლო რეფორმის კონცეფციაზე. არსებობს კანონთა მთელი რიგი პაკეტი, მათ შორის კანონები პროკურატურის, სასამართლოს, საგამოძიებო, ოპერატიული სამსახურის და ადვოკატურის შესახებ. აქ პრობლემა ისაა, რომ რომელიმე კანონის ცალკე განხილვა არ ხერხდება. ყოველი მათგანი მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი ერთიან გააზრებულ სისტემაში უნდა მოექცნენ. შინაგან საქმეთა სამინისტრო კი გამოვიდა გამოძიების კანონპროექტის წინააღმდეგ. ზოგადად რომ სისტემა დავახასიათოთ, არც ჩვენ და არც სხვას არ გვინდა, რომ სახელმწიფოს ძირი გამოვუთხაროთ. თეორიულად ორივე მხარე რეფორმის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მისდამი კონკრეტული მიდგომა განსხვავდება. მთელი დავა აგებულია იმაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოძიების ცალკე გაშვების წინააღმდეგია.

აღსანიშნავია, რომ იმ შეხვედრაზე მინისტრი იზოლირებული აღმოჩნდა. უზენაესი სასამართლო, პროკურატურა, სახელმწიფო კომისია და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გამოვიდა ბატონი კახას პოზიციის კრიტიკით. ეს არ ნიშნავს, რომ საკითხი გადაწყვეტილია.

ბატონი კახა ენერგიულად ასაბუთებს თავის პოზიციას ყველა ფორუმზე. საერთო აზრის გამომუშავების პრეცედენტი უკვე გვქონდა და საპროცესო კოდექსში ოპერატიული სამსახურის მიღებისას იქნებ მოვალწიოთ რაღაც კომპრომისს.

ჩვენი აზრით გამოძიება არ უნდა იყოს გაერთიანებული ოპერატიულ სამსახურებთან, ფაქტიურად მის დაქვემდებარებაში, ვინაიდან ეს ჭეშმარიტების დადგენას არ ემსახურება. შინაგან საქმეთა სამინისტრო კი თვლის, რომ ამით ოპერატიული სამსახური და გამოძიება დასუსტდება.

– რა მოტივით ასაბუთებენ ამ „დასუსტებას"?

– იმით, რომ ოპერატიული სამსახურისა და გამოძიების მუშაკებს მუშაობის ხალისი გაუქრებათ.

– ეს ხალისი ჩრდილოვან მხარეებთან ხომ არ არის დაკავშირებული?

– ეგ ყველამ თვითონ დაასკვნას. ფაქტია, რომ ყველა ორგანოში კორუფციის პრობლემა არსებობს. შსს-ში, პროკურატურაში, პოლიციაში. ჩვენ გვინდა, რომ ამ ყველა ორგანომ ერთმანეთი აკონტროლოს. რეფორმის კონცეფციაც ეს არის – იყოს არა ერთი ორგანო, რომელიც დანარჩენებს გააკონტროლებს, არამედ გამოძიების ცალკე გასვლაც ჩვენი კომიტეტის იდეა არ გახლავთ. იგი ეკუთვნის ტურისტებს, რომელსაც მხარს ძალიან აქტიურად უჭერს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, უზენაესი სასამართლო და პროკურატურაც. ასე რომ, ეს იდეა პარლამენტში არსებობს, მაგრამ არის მცდელობა, რომ ყველაფერი დააბრალონ პარლამენტის ზოგიერთი ახალგაზრდა წევრის ახირებას, რაც აბსოლუტურად მცდარი გახლავთ. ჩვენთან ეს იდეა კარგად აპრობირებული მოვიდა. ამიტომ საკითხის გაყალბებაა. თითქოს მე ვცდილობდე გამოცდილ მუშაკებს თავს მოვახვიო რაღაც ახირებული იდეა. ეს ცივილიზებული სამყაროს გამოცდილებას მიეკუთვნება. კომპრომისი კი აუცილებლად უნდა გამოიძებნოს. შეუძლებელია, რომ ჩვენ ურთიერთობებს პრესის საშუალებით ვარკვევდეთ. სხვათაშორის თავად საგამოძიებო აპარატის მუშაკები ამ რეფორმის მომხრენი არიან. ეს გახლავთ არა ახირება, არამედ პოლიტიკოსების, თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების მოთხოვნა. საბოლოო სიტყვა კი აღმასრულებელ ხელისუფლებას და პრეზიდენტს ეკუთვნის.

– ამ პროექტის იდეა პარლამენტში ჩაისახა, თუ იგი დასავლური მოდელიდან მომდინარეობს?

– საგამოძიებო პროექტის ავტორია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი გია მეფარიშვილი. სხვა პროექტების ავტორები არიან გ.მეფარიშვილი და თენგიზ ლილუაშვილი. ეს პროექტები იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა. სპეციალური სახელმწიფო კომისია მუშაობდა. მოდელი ქართულია, თუმცა საფუძველი ფრანგულ-იტალიური საგამოძიებო პრაქტიკას უახლოვდება, რადგან ფსიქოლოგიური მომენტებით ბევრი პარალელის გავლება შეიძლება. სასამართლო სისტემა კი გერმანულს უახლოვდება.

პრინციპში იგი ქართული მოდელია, რომელიც ისეა აწყობილი, რომ ერთიან სისტემაში, ერთი ნაწილი მეორეს გარეშე ვერ იარსებებს.

ახლა მცდელობაა სასამართლო რეფორმის ამ მთლიანობიდან ამოგდებისა, რაც არავინ არ გაიზიარა. საკითხის გადაწყვეტა კონცეპტუალურად აუცილებლად წლის ბოლომდე უნდა მოხდეს. მომავალ წელს მთლიანი რეფორმა კონსტიტუციის მიხედვით უნდა დასრულდეს.

კიდევ ერთხელ არის დასაფიქსირებელი, რომ რეფორმას პრაქტიკულად ყველა მხარს უჭერს და ბატონი კახაც ჩემს პირისპირ არ რჩება, რისი დაფიქსირების მცდელობაც მიმდინარეობს.

ესაუბრა

გუგაზ მეგრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქის სარკე

# ქართველი მწერლები და 1991 წლის 2 სექტემბრის აქცია

## ქვეყნდება პირველად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №50,51,52,53,54

**სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრებისა 1991 წლის 12 სექტემბერი**

**თავმჯდომარეობს - მუხრან მაჭავარიანი**

თემურ ქორიძე - ჩვენ არაერთგზის შევხვედრივართ ამ დარბაზში, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურის საკითხებზე, ლიტერატურის პრობლემებზე საუბრის გამო. ეს იყო სასიამოვნო შეხვედრები მთელი ჩვენი ცხოვრებით, მთელი ჩვენი ცხოვრების უნაყოფიერესი ლიტერატურული ინტერესებით, მწერლური ინტერესებით. ისიც გახსოვთ, როდესაც საბრძოლო იყო, ჩვენ იმ ბრძოლაში არცთუ უკანა ხაზზე ვიდექით. ჩვენ დიდებული თანამებრძოლები ვიყავით ლიტერატურის ინსტიტუტში და როდესაც ამ თანამდებობებზე დავდექით, აქ იმისათვის არ გვიბრძოლია, რომ არიქა მანქანები გამოგვეყვანა, ან ავეჯი თუ ბინები მიგვეღო. მე შემიძლია გლდანში მოგიწვიოთ ჩემს ბინაზე და დაგარწმუნოთ ამაში, ნახოთ ჩემი სამოთახიანი ბინა, სადაც ვცხოვრობ.

მე სიამოვნებით ვიგონებ არჩევნების პირველ სესიას, სადაც პირველი სიტყვა შერიგებაზე, მიმტევებლობაზე იყო ნათქვამი ხელისუფლების მიერ. ამის ძალიან დიდი სურვილი იყო ხელისუფლების მხრივ და ეს იყო დასაწყისი ჩვენი ახალი ურთიერთობების.

კარგად გახსოვთ, როდის გაიყო ეს მოძრაობა და დაპირისპირება როდის დაიწყო. ეს არ იყო შემთხვევითი. ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა. ეს დაპირისპირება დაიწყო, როცა კონცეფტუალურად გაიყო აზრი. ერთმა მოითხოვა პარლამენტური გზა, მეორემ ეს გზა არ მიიღო. ამ გზაზე მეორე ნაწილი აუცილებლად დამარცხდებოდა.

**(ხმა დარბაზიდან - ზემოდან ჩაწყობილი იყო და დამარცხდებოდა. ეს ყველაფერი ვიცით... ხმაური)** თუ იცით თქვენ, საიდან იყო ჩაწყობილი, კაკო ბატონო, **(ხმაური. აწყვეტინებენ ლაპარაკს...)**

**(ა.ვასაძე - შენ სანამ დაიბადე და... ხმაური დარბაზში...)** პატრიოტიზმში ნუ შევეჯიბრებით ერთმანეთს. მე მახსოვს პატიაშვილს უჩქმალავდი...

**(ა.ვასაძე - ვინ უჩქმალავდა, შე დემაგოგო!.. მე ვუჩქმალავდი?.. ზვიად გამსახურდია და მანანა იყო და მე ვიცინოდი... ამათთან იჯდა... ამისთანა ტყუილი შეიძლება?!.. თქვენი...)**

ვინ ჩააწყო აბა არჩევნები, 28 ოქტომბრის არჩევნები?..

**(ა.ვასაძე - როგორ?!.. მე ვჩქმალავდი?.. როგორ;... წერილი, ზვიად გამსახურდიას ვიცავდი. კოსტავა იმათთან ფეხბურთს თამაშობდა და უფრო ახლოს იყო)**

აბა საიდან იყო ჩაწყობილი?..

(აღშფოთებული ა.ვასაძე დარბაზიდან წამოვარდება და მივარდება ტრიბუნასთან და ამბობს: ასეთი ტყუილი როგორ შეიძლება?.. ეს არის დემაგოგია!.. აი ეს არის გოიმობა (დარბაზში ხმაურია, აღშფოთება).

- დაბრძანდით, დაბრძანდით! ცენტრიდან თუ იყო ჩაწყობილი, მაშინ სხვანაირად იქნებოდა არჩევნები. როდესაც დიალოგისკენ მოუწოდებდით... (ა.ვასაძე - გაგიგიათ ასეთი ტყუილი?..)

**(თავმჯდომარე - მერე თქვით, დაიცადეთ!)**..

ამის შემდეგ, როცა დააწესეს.. (ხმა დარბაზიდან - ეგ ისტორია არ გვინდა, ვიცით).

რა აუცილებელი იყო საპრეზიდენტო მმართველობა საქართველოში. ის პირობები, რაც საქართველოში არის (ცალკე სამაჩაბლო, აფხაზეთი) საჭიროებდა ძლიერ საპრეზიდენტო მმართველობას **(ხმა - მერე რას მიაღწიეთ?)**, მაგრამ ისიც კარგად იცით, რომ ის ბრძოლა არაადამიანური სახით გაგრძელდა, მიეცა ისეთი სახე, რომ ზვიად გამსახურდიას სიძულვილს გადააყოლეს მთელი საქართველო. თუ რაიმე იგზავნებოდა საზღვარგარეთ, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოზე შექმნილიყო უარყოფითი თვალსაზრისი და ამას მიაღწიეს. თუკი არსებობს ტელევიზიაში ჩანაწერები, დაინახეთ რა თავისუფლება უნდათ.



პრესასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემა არ არსებობს. უმაღლესი საბჭოს რამდენიმე გაზეთის ნაცვლად ერთი გაზეთი უნდა შეგვექმნა. ამან გადაიწია. აი აქ არის გოგელია და აქ არიან სხვა გაზეთების რედაქტორები. აბა თქვან - თუ ჩვენგან იყო დაწოლა. ტელევიზიაში შედარებით მდგომარეობა არის გართულებული. როდესაც პირველი პრესკონფერენცია გავმართეთ, აბსოლუტური უმრავლესობა, ყველანი ერთი აზრისანი იყვნენ, რომ უნდა გაიხსნას გზა და მართლაც ასე იყო, პირდაპირ ღია კარის დღეები იყო. ალბათ არსად დედამიწაზე არ არსებობს, სადაც ასეთი გასვლა შეიძლებოდეს. ჩვენ მოვიძიეთ და ხელახლა გავუშვებთ იმ ფირებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ის შიში, რომელიც მართლა დაიბადა, არ გამართლდება. რა ვუყოთ იმ ხალხს, რომელიც მართლა უჭერს მხარს ზვიად გამსახურდიას? იქნება მოგვეწყო რეფერენდუმი და გაგვეგო, ბოლოს და ბოლოს ვის უჭერს მხარს საქართველო **(დარბაზში ხმაური...)**

**(ი.ორჯონიკიძე - ასე არ შეიძლება!)**

ანდა მეორე ვარიანტი, თუკი დემოკრატები ბარიკადებს უჭერენ მხარს, მეორე მხარესაც მოვუწოდებთ... მდგომარეობა არის აბსურდული იმიტომ, რომ ოპოზიციამ არ მიიღო ჩვენს მიერ შეთავაზებული პოზიცია...

**(ი.ორჯონიკიძე** - როდესაც გამოვიდა ბატონი ზვიადი არჩევნების შემდეგ და სთქვა, საყოველთაო შერიგებას ვუჭერთო მხარს, ცრემლიანი თვალებით ვუსმენდით. თქვენ ბრძანეთ, რომ ზვიად გამსახურდიას სიძულვილს გადააყოლეს საქართველო, მაგრამ თქვენ არა გაქვთ უფლება ზვიად გამსახურდიას სიყვარულს გადააყოლოთ საქართველო (ტაში). (დემაგოგიაა). **(ი.ორჯონიკიძე** - თქვენ კარგად იცით, ვინ არის დემაგოგი. თქვენ გაზრდილი ხართ ჩემს გამოსვლებზე. რას ნიშნავს პატიაშვილს უთხარი 3 თვით ადრე?.. როცა დათვი მოშიებულია, დაარხევს პანტას. დაახლოებით ისე ჩამოყარეთ ხალხი. როდესაც კომისიაში აგირჩევს და პასუხს არ მოგთხოვს, არ გეკითხება და არ დაგიჯერებს... ზვიადის მოძულეთა რიცხვი არ უნდა გავზარდოთ და არც მის სიყვარულს არ უნდა გადავაყოლოთ საქართველო: ტუხაშვილმა შესანიშნავი მაგალითი დაუწერა, ერეკლე მეორის მაგალითი. ზვიადს არა აქვს უფლება ვინმე უყვარდეს ან არ უყვარდეს, პრეზიდენტს ამის უფლება არ აქვს. არის ერთი კრიტერიუმი: ზვიადი განათლებულია, მასზე განათლებული კაცი არ არის. ზვიადს ჰქონდა ყველაფერი - განათლება, სილამაზე, ოჯახიშვილობა; აკლდა ერთი - სიყვარული, სიყვარული, სიყვარული ყველას მიმართ. სუკის აგენტს მეძახის უკვე 12 წელიწადია. შესანიშნავად იცი, შენ გეკითხები ბიჭო, განა შენ არ იცი, მე ვიცავდი მაშინ მაგას, ირაკენჭოშვილი რომ გადაუდგა. ზვიადი ისეთი ეჭვიანია, რომ მას შეუძლია დაგაბრალოს, რაც უნდა. მას არა ჰყავს კაცი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს და ეს მისი ეჭვიანობის ბრალია.

მე ძალიან არ მომწონს ეს გადახერგილი რუსთაველის გამზირი, მე არც ჭანტურიასი და არც წერეთლის მომხრე ვარ, მაგრამ სწორედ ამ დარბაზში მინდა შევხვდე პრეზიდენტს, მინდა რომ ზვიადმა ამ დარბაზის ფილტრი გაიაროს).

**თქორიძე** - შემზარავი და საზიზღარია სამოქალაქო ომი, მაგრამ გაცილებით უფრო შემზარავია ის, ვინც ამ სამოქალაქო ომში გაიმარჯვებს. იმისათვის, რომ ეს სამოქალაქო ომი ავიცილოთ, ეს არ არის ცალსახა ამბავი. პრეზიდენტს მომხრეებიც ჰყავს. ასე რომ, გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა, თუ არ დაიწყება ჯანსაღი ტენდენციების განვითარება. პირადად ჩემთვის ყველაზე საინტერესო არ არის ხელისუფლებაში ყოფნა **(ხმები - ყველა ასე ლაპარაკობს)**...

რა იყო, რა მოგივიდათ, რა დაგემართათ?..

**(ადგილიდან** - თქვენ რა პოზიცია გაქვთ?)

რა პოზიცია უნდა დავიკავოთ თითოეულმა ჩვენგანმა. ვისაც უნდა დადგეს ბარიკადების იქით. ქალბატონმა იზამ იცის, მე შემიძლია არასუბიექტური ვიყო გარკვეულ სიტუაციაში, მაგრამ ის, რაც ეხლა ხდება, ამაში არ არის არაფერი გასაკვირი. მაგრამ 2 სექტემბრის ამბავი სერიოზულად გამოსაკვლევია (იზა ორჯონიკიძე - არაფერი არ არის გამოსაკვლევი. ხაზულიანი უნდა გადადგეს. შემდეგ [illegible] კომისიაში).

**(ხმა ადგილიდან - გამსახურდია უნდა გადადგეს)**.

მე კი ვამბობ - არ უნდა გადადგეს! ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ უნდა გადადგეს, მეორე - არა.

ის აქცია, რომელიც ეხლა თბილისში მიდის, არის პოლიტიკური კრიზისი, რაც ყველა სახელმწიფოსათვის ნიშანდობლივია. მაგრამ დღეს არსებობს პოლიტიკაზე უფრო დიდი გაცხადება. ეს არის ერთი კაცის ფენომენი, რომელიც გადახრებს აკეთებინებს კაცს. მაგრამ საბოლოოდ სასარგებლო უნდა იყოს საქართველოსათვის. ასეთ ვითარებაში ალბათ ყველაზე უპრიანი იქნებოდა ის, რასაც ოპოზიცია მოიწონებს. ეს არის პრესის კანონი. ეს ყველაზე დემოკრატიული კანონია. ლაპარაკია პრესისა და ტელევიზიის თავისუფლებაზე. კეთილი ინებონ და რაღაც ეთიკის ფარგლებში ისაუბრონ.

თუკი ჩვენ ხელს გვაწყობს იმ ჯებირების აღება, ორივე მხარემ შევძახოთ და ქუდზე კაცი გამოვიდეს. მაგრამ ჩვენი სურვილია ხელი ავიღოთ ამ კონფრონტაციაზე. შევეცადოთ ამ შემთხვევაში ვილაპარაკოთ სხვანაირად. მე გავიხსენებ პიკასოს ფრაზას: სურათის შინაარსი იცვლება მაყურებლის განწყობილების მიხედვით. ხელისუფლებისათვის კი არა, იმ იდეისათვის ვიბრძოლოთ. თამაშის გამო საკუთარ სისხლს არ დაღვრიან. არავინ არ იფიქროს, ხელს დავაფარებთ ვინმეს და შეგვეშინდება.

რისთვის ვიბრძოლებდი? - ჩემი სამშობლოსათვის, საქართველოსათვის. პირველ რიგში ვიბრძოლებდი დემოკრატიისათვის, მაგრამ ამ დემოკრატიამ მოიცადოს ცოტა საქართველოსათვის.

თქვენ, ქალბატონო ციალა და სხვები, როცა ძალიან ჩუმად იყავით... **(ხმა დარბაზიდან - არა ხართ სწორი...)** თქვენ და თქვენი ზვიადი ებრძოდით მათ - ჭანტურიას, წერეთელს, კომუნისტებს... რა მოხდა? სად არის თქვენი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა? **(ხმა - ეს მათ კითხეთ). ვინმე თენგიზი დარბაზიდან**: თქვენც უნდა წახვიდეთ პოლიტიკური ასპარეზიდან, დაგვანებეთ თავი. თუ ატყდება სამოქალაქო ომი - რუსეთიც თავს დაგვესხმება, ოსეთიც, აფხაზეთიც. ამიტომ გამოიჩინეთ შორსმჭვრეტელობა და ჩაშალეთ ის სამოქალაქო ომი. ვერ შეხვალთ ისტორიაში. ჩვენ დავწერთ ამ ისტორიას.

**თქორიძე**: - ბატონო თენგიზ, უნივერსიტეტშიც მე და თქვენ ცოტა სხვა, განსხვავებული აზრისა ვიყავით. არც ამჟამად გეთანხმებით. ამ დარბაზშიც, ეს არის ორი გზა: ან ორივე დგას ბარიკადების იქით, ან ორივე დგას საქართველოში მშვიდობის დამყარებისათვის. მესამე გზაც იქნება, გადაიდგმება ის ნაბიჯი, რომელსაც ითხოვს ოპოზიცია. ლაპარაკია ტელევიზიაზე. ეს ძალიან ფრთხილად გასაკეთებელი საქმე, ძალიან ფრთხილად. უნდა დავიწყოთ შედარებით ნაკლებ მწვავე პრობლემებით, შემდეგ უფრო მეტიც. მაგრამ ამ ეტაპზე წარმოუდგენელია. საჭიროა მოფიქრება.

რეფერენდუმის მოწყობა. მე მგონია იმ ოპოზიციის დასაშოშმინებლად საჭიროა ამ რეფერენდუმის ჩატარება, ან მოვიწვიოთ უცხო ხალხი, ერთხელ და სამუდამოდ დაინახონ **(დარბაზი აბობოქრდა, ხმაური. ხმები - რა ხელისუფლება ხართ, არ მოხდეს სამოქალაქო ომი. აწყვეტინებენ ლაპარაკს)... (დარბაზში ციალა არდაშელიასა და ტრიბუნიდან ჩამოსულ თემურ ქორიძეს შორის მიდის ხმამაღალი კამათი. დარბაზში საერთო ხმაური)**.

**თემურ ქორიძე** - გითხარით, რომ ქართული არ იცით და მწერალი არა ხართ. **დარბაზში აღშფოთებაა. ხმა** - სირცხვილია!..

თავმჯდომარე - 7 კაცია კიდევ ჩაწერილი. ამ 7 კაცს მივცეთ სიტყვა თუ არა? **(ხმები - მივცეთ)**.

იზას ეძლევა სიტყვა.

**გაგრძელება იქნება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საშიში, საშიში, საშიში სიტყვა - ოპოზიცია

ჯერ გაურემონტებელი კომუნისტების დროში იყო – ოპოზიციონერი თუ დაგერქმეოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ დედიან-ბუდიანად ამოწყვეტა ან, უკეთეს შემთხვევაში, გაციმბირება გელოდა.

მერე გარემონტებული კომუნისტების დროში იყო – ოპოზიციონერად მონათვლა, ანუ არაფორმალობა, – სიტყვა ოპოზიციონერს არ აფიქსირებდნენ, აქაოდა, საბჭოთა წყობას როგორ შეიძლება ოპოზიციონერი ჰყავდესო, – უსამსახუროდ, ულუკმაპუროდ დარჩენას ნიშნავდა.

მერე ჩაილურის წყალდალეულ, ანუ შემკრთალი და შეშინებული კომუნისტების დროში იყო – ოპოზიციონერობა ლამის ჯილდოდ აღიქმებოდა. ოპოზიციონერი გაუკეთებელს გააკვარახჭინებდა.

მერმე ისევ ისეთი დრო დადგა, ოპოზიციონერი თითქმის სამშობლოს მოღალატეს რომ გაუტოლდა.

ახლა სხვა დროა, ოპოზიციონერს მხოლოდ ყეფის უფლება აქვს. იყეფე და იყავი, ხოლო თუ ნამეტანი მოგივა, ყეფის გაგრძელებამ შეიძლება ციხეში მოგიწიოს ან ხმის ჩაკმენდამ, გააჩნია რამდენის გაძლება შეგიძლიათ.

ერთი სიტყვით, ოპოზიციონერობა რაღაც საშინელ სიტყვად არის ჩვენს ქვეყანაში მიჩნეული, ყოველ შემთხვევაში, „რიგიანი" ჩინოვნიკი ან „რიგიანი" ინტელიგენტი შენთან ურთიერთობას მაინცდამაინც სიამოვნებით არ გააბამს, არიქა, არავინ შემამჩნიოს ოპოზიციონერის გვერდით დგომაო.

როგორაა ამ მხრივ საქმე დასავლეთის ცივილიზირებულ ქვეყნებში. ვის ჰქვია და რატომ ჰქვია იქ ოპოზიციონერი, ამ საკითხის გაცნობა, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის.

ბატონ შოთა თეთვაძეს ეს პრობლემა სერიოზულად შეუსწავლია. ვიწყებთ მისი ნაშრომის გამოქვეყნებას. სიამოვნებით გავმართავთ ქვემოთ წარმოდგენილ საკითხებზე დისკუსიას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

## დასავლეთის ქვეყნები და პოლიტიკური ოპოზიცია

ამა თუ იმ ქვეყანაში ორგანიზაციულად გაფორმებული, შესაბამისი იურიდიული სტატუსის და კონსტიტუციური გარანტიების მქონე, თავის მოქმედებებზე პასუხისმგებელი ოპოზიცია – ეს დემოკრატიის ფუძემდებლური პრინციპებისადმი ერთგულების თავისებური გარანტიაა. არჩევნებში გამარჯვებული, მოსახლეობის ჯგუფის პოლიტიკურ პრიორიტეტთა ელექტორალური უმრავლესობის და დამარცხებული უმცირესობის ინტერესთა შეჯახება უცილობლად რჩება ყოველგვარ, განვითარების ყველაზე მშვიდობიან და დინამიურ საზოგადოებაში, რაც ობიექტურად ქმნის ხელისუფლების სათავეში მყოფი ოპოზიციის წარმოშობის საფუძველს. მრეწველობის მხრივ განვითარებულ დასავლეთის ქვეყნებში პოლიტიკური ოპოზიცია წარმოადგენს ერთ-ერთ სრულუფლებიან პოლიტიკურ ინსტიტუტს, „წინააღმდეგობათა შეკავების" მექანიზმის ხელშეუვალ რგოლს, რომლის საფუძველზე წარმატებით ხორციელდება დემოკრატიული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება.

ოპოზიციური ძალებისადმი სრულფასოვანი შესაძლებლობის მიცემა გამოავლინონ თავიანთი, ოფიციალურისგან განსხვავებული შეხედულებანი და პოლიტიკურ პროცესში კონკურენცია გაუწიონ მმართველ პარტიას (ხელისუფლების საკანონმდებლო, რეგიონული აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღება ამომრჩევლებისადმი). როგორც დასავლეთის დემოკრატიის გამოცდილება მოწმობს, ოპოზიცია სტაბილურ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების მთელ პოლიტიკურ სტრუქტურაზე, წარმოადგენს მწვავე სოციალური კონფლიქტების წარმოშობის და კრიზისული სიტუაციის წარმოქმნის საკმაოდ ეფექტურ საწინააღმდეგო საშუალებას. ოპოზიციის უფლებათა შელახვა და მისი მოღვაწეობის სფეროს შეზღუდვა, რაც დამახასიათებელია ავტორიტარული რეჟიმისთვის, განიხილება როგორც მოსახლეობის ელემენტარულ დემოკრატიულ თავისუფლებათა აშკარა დარღვევა. დემოკრატიის პირობებში ქმედითუნარიანი ოპოზიციის არარსებობა წესისამებრ იწვევს სოციალური არასტაბილურობის ზრდას ან მასების პოლიტიკურ აპათიას.

პოლიტიკურ პროცესში ოპოზიციის ფუნქციები მრავალსახოვანი და საერთოდ აშკარად ნათელია. ესაა სოციალური უკმაყოფილების გამოვლინების არსი, მომავალში სოციალური გარდატეხის და საზოგადოების პოლიტიკური განახლების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ოპოზიციური პარტია აკრიტიკებს მთავრობის ოფიციალურ კურსს, მონაწილეობას ღებულობს საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესში და ამით ოპოზიციას საშუალება აქვს მიაღწიოს ხელისუფლების ადმინისტრაციისგან პრინციპულ დათმობებს და მის პოლიტიკაში შეიტანოს კორექტივა.

გავლენიანი ოპოზიციის არსებობის თვით ფაქტი „აფორიაქებს", „აფხიზლებს" და გარკვეულ ჩარჩოებში აყენებს მმართველ პარტიას, ქვეყნის განვითარებას დინამიკას ანიჭებს. მისი არსებობა ზღუდავს ხელისუფლების სტრუქტურების ბოროტმოქმედებას, მოსახლეობის სამოქალაქო, პოლიტიკურ თავისუფლებათა და უფლებათა დარღვევებს. იგი წარმოადგენს თავისებურ შემაკავებელ საშუალებას, რომელიც ხელს უშლის პოლიტიკური ცენტრიდან ხელისუფლების კურსის შეცვლას უკიდურესად მარცხნივ ან მარჯვნივ და, ბუნებრივია, სოციალური სტაბილურობის შენარჩუნების გარანტიას იძლევა. იმაზე, თუ რამდენად კონსტრუქციულ ხასიათს ატარებს მმართველი და ოპოზიციური პარტიის დიალოგი, ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოებაში ჯანსაღი პოლიტიკური კლიმატი.

ხელისუფლებისგან ჩამოცილება – ეს ყოველი პარტიის, მისი ლიდერების, აქტივისტთა, რიგით წევრთა და თანამებრძოლთა სერიოზული გამოცდაა. მის ხელმძღვანელთა ქმედითობის შემოწმებაა, რათა წარმატებით განახორციელოს ადაპტაცია რეალური პოლიტიკური ცხოვრების შეცვლის, საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროს შესატყვისად და სწორად გაანაწილოს არსებული ძალები. ამჟამად დასავლეთის წამყვან ქვეყნებში ოპოზიციაში არიან ისეთი გავლენიანი პარტიები, რომლებსაც აქვთ მდიდარი ისტორიული ტრადიციები, ძლიერი ინტელექტუალური პოტენციალი და ღრმა სოციალური საფუძვლები, როგორიცაა ლეიბორისტული ბრიტანეთში (1979 წ.), სოციალ-დემოკრატიული გერმანიაში (1982 წ.), „რესპუბლიკის მხარდამჭერთა გაერთიანება" და „ფრანგული დემოკრატიის კავშირი" საფრანგეთში (1988 წ.).

* * *

„ოპოზიცია" თანამედროვე პოლიტიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე ტევადი ცნებაა, რომელშიც ხშირად ჩაქსოვილია სხვადასხვა შინაარსი და აზრი. მას აქვს ორმაგი მიდგომა. უფრო ფართო გაგებით მასში იგულისხმება საზოგადოებაში სხვაგვარი აზროვნების და არსებული რეჟიმისადმი უკმაყოფილების პრაქტიკულად ყველა პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამოვლინება. უფრო ვიწრო გაგებით, ოპოზიცია განიხილება როგორც უმთავრესად ხელისუფლებისგან ჩამოცილებულ პარტიათა, ორგანიზაციათა და მოძრაობების ერთობლივი პოლიტიკური ინსტიტუტი. ოპოზიციური პარტიების კლასიფიკაციის მეთოდები შეიძლება იყოს სხვადასხვა. დასავლეთის პოლიტოლოგიაში ძირითად კრიტერიუმად მიღებულია კონსტიტუციური წყობის არსებითი პრინციპებისადმი მათი მიზნების და პროგრამულ დებულებათა შესატყვისობის დონე. ამ პრინციპთა შესაბამისად დასავლეთის ქვეყნებში ტრადიციულად გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი – არასისტემური (სტრუქტურული) და სისტემური. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან მემარცხენე და მემარჯვენე რადიკალური პარტიები და დაჯგუფებები, რომელთა პროგრამული დებულებები მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფენ არსებული პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. მათი საქმიანობა მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირებადი ინსტიტუტების დისკრედიტაციის, მათი ლეგიტიმურობის ძირგამოთხრის და საზოგადოების პოლიტიკური პროცესების ნორმალური ვითარების დესტაბილიზაციისკენ.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან დასავლეთის მემარცხენე და მემარჯვენე – ცენტრისტული პარტიები (ლიბერალური, სოციალ-დემოკრატიული, კონსერვატიული, ქრისტიანულ-დემოკრატიული), რომლებიც ეყრდნობიან საზოგადოების აღიარებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ინსტიტუტების ურყეობას და მთავრობისგან არსებითად განსხვავდებიან ზოგადი სტრატეგიული მიზნების მიღწევის გზების და საშუალებების შერჩევით. მათი პრაქტიკული საქმიანობა მიმდინარეობს არსებული პოლიტიკური სისტემის ჩარჩოებში და არაა მიმართული მისი საფუძვლების შერყევისკენ, თუმცა არჩევნების შედეგად ერთი პარტიიდან (ან პარტიების კოალიციიდან) მეორე პარტიის ხელში ხელისუფლების გადასვლა სრულიადაც არ იძლევა მემკვიდრეობითი პოლიტიკური კურსის შენარჩუნების აბსოლუტურ გარანტიას. მიუხედავად პარტიათაშორისი მეტოქეობისა, რაც ხშირად მკაცრი და მიუღებელი რიტორიკით ხასიათდება, სისტემური ოპოზიციის პარტიები ურთიერთშორის აქტიურად თანამშრომლობენ მმართველ პარტიასთან და ყოველთვის მზად არიან გაერთიანდნენ და თავიანთი მეცადინეობა წარმართონ ერთად იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა საზოგადოებრივი მართლწესრიგის დარღვევისა და ხელისუფლების ინსტიტუტების არსებობისადმი სერიოზული საშიშროება.

აქვე უნდა მივუთითოთ მესამე, ორ ძირითად ტიპებს შორის შუალედური ოპოზიციის სახეობაზე, რომელსაც დასავლეთის პოლიტოლოგები ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ „მწვანეებს" გერმანიაში და ნიდერლანდებში, იტალიელ რადიკალებს, ხოლო უკანასკნელ პერიოდში საფრანგეთის, იტალიის, ფინეთის მთელ რიგ კომუნისტურ პარტიებს.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კოორდინაციის სისტემის თანრიგით სტრუქტურულ ოპოზიციას შეიძლება მივაკუთვნოთ კომუნისტური ორიენტაციის პარტიები, აგრეთვე მთელი რიგი რადიკალური ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციები და მოძრაობები. მათი პოლიტიკური მოქმედების ხაზი და ძირითადი პროგრამული დებულებანი (რესპუბლიკის მეთაურის ე.შევარდნაძის გადადგომის საკითხის დაყენება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ძალისმიერი საშუალებებით, დემოკრატიის დარღვევის საბაბით მაფიოზური კლანების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება და სხვ. არ გამოირჩევა რეალობით და კონსტრუქციულობით).

სისტემური ოპოზიციური პარტიების სპექტრი საგრძნობლად ფართოა.



მასში უნდა გავასხვავოთ მემარცხენე (კომუნისტური, სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტური, ხალხთა მეგობრობის და სოციალური სამართლიანობის პარტიები), ცენტრისტული (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს მომავალი", „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი" და მემარჯვენე ცენტრისტული-რადიკალები (საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, რესპუბლიკელები, საქართველოს ლიბერალურ-კონსერვატული პარტია, საქართველოს პოლიტიკური მოძრაობა – „მამული, ენა, სარწმუნოება", საქართველოს თავისუფლების პარტია, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგა – ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტია ილია ჭავჭავაძის საზოგადოება). ამ პარტიებს აერთიანებს საერთო ურყევი – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების კურსი, მისწრაფება – კორექტივი შეიტანოს არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკაში, საპრეზიდენტო ხელისუფლების კადრების გადაადგილებაში. მათ შორის განსხვავება უმთავრესად კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის ტემპებს, საშუალებასა და მეთოდებში, საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში მდგომარეობს.

მოსახლეობის ოპოზიციურად განწყობილი ფენების ინტერესები პარტიების გარდა შეიძლება წარმოადგინონ სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა – პროფკავშირებმა, პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და მოძრაობებმა, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. ალტერნატიულ მოძრაობათა „ჭრელ გამაში" არაპარტიული ოპოზიცია ხშირად წარმოადგენს არამტკიცე პოლიტიკურ წარმონაქმნს, რომელიც პოლიტიკურ არენაზე უცბად გამოჩნდება და ასევე უცბად ქრება. ოპოზიციურ ძალათა გამოვლენის მნიშვნელოვან არხად იქცა ეგრეთწოდებული ინტერესთა ჯგუფები, რომელთა მოქმედების ქვაკუთხედად მიჩნეულია კონკრეტული პრობლემების გადაჭრა. ინტერესთა ჯგუფები შესაძლოა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული პარტიასთან, ან მისგან სრულიად დამოუკიდებელი. აშშ-ში, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საგრძნობლად დაეცა პარტიის გავლენა პოლიტიკურ პროცესებში, ინტერესთა ჯგუფები სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებენ ხელისუფლების ინსტიტუტების და საზოგადოების ურთიერთდაკავშირებაში.

მთელ რიგ შემთხვევაში საშინაო და საგარეო პოლიტიკის კონკრეტული მიმართულების დისკუსიის მსვლელობისას ოპოზიციურ ძალად შეიძლება გახდეს სამთავრობო კოალიციის ცალკეული პარტია ან პარტიის შიგნით ჯგუფი, რომელთაც ოფიციალურ კურსისგან განსაკუთრებული პოზიცია უჭირავთ. ხშირად შინაპარტიული კრიტიკა (ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია) უფრო მნიშვნელოვნად გამოიყურება და თავისი შინაარსით ატარებს საქმიან და კონსტრუქციულ ხასიათს, ვიდრე გარეშე ოპოზიციის კრიტიკა. აშშ-სა და დასავლეთ ევროპის საკანონმდებლო ორგანოებში პარტიული ფრაქციების ხელმძღვანელობა ჩვეულებრივ თავიანთ დეპუტატებს „ახალი" სოციალურ-კულტურული და მორალურ ზნეობრივი პრობლემების განხილვისას (სტილი და ცხოვრების წესი, დანაშაულობები, სიკვდილით დასჯისადმი დამოკიდებულება, აბორტის რეგლამენტაცია) აძლევენ შედარებით თავისუფალი მოქმედების საშუალებას და ამასთან ერთად მისგან მოითხოვენ დისციპლინური ნორმების დაცვას ხმის მიცემის დროს იმ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან პარტიის ტრადიციულ სოციალურ, ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპულ საკითხებს

შოთა თეთვაძე

### გ.კერვალიშვილი გაზეთ «ნოე»-ს რედაქტორის განთავისუფლებას მოითხოვს

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გ.კერვალიშვილმა გაავრცელა განცხადება, გაზეთ „ნოე"-ს რედაქტორის გივი ალაზნისპირელისათვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთის გამო. განცხადებაში ნათქვამია, რომ მისი დაპატიმრება უაღრესად შემაშფოთებელი პრეცენდენტია. დღევანდელი რეჟიმი სდევნის თავისუფალი აზრის გამომხატველ პიროვნებებს, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. „ქვეყანაში, სადაც თავისუფალი აზრის გამოთქმისათვის ადამიანს აპატიმრებენ, ვერასოდეს დამყარდება დემოკრატია" – ნათქვამია განცხადებაში. გ.კერვალიშვილი გ.ალაზნისპირელს მიიჩნევს სინდისის ტუსაღად და მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას მოითხოვს.

იპრინდა

# აირია მონასტერი...

თენგიზ გოგოტიშვილი

**წერილის „მაღვნის დედა"**

...ყველას კარგად ახსოვს, აშშ-დან უკანა გზაზე როგორ გადაწყვიტა ელცინმა მოულოდნელად რეიკიავიკში დაშვება, რის გამოც ისლანდიის პრეზიდენტი იძულებული იყო შეეწყვიტა ოფიციალური ვიზიტი ახალ ზელანდიაში და სამშობლოში დაბრუნებულიყო, ბორის ნიკოლოზის ძე კი თვითმფრინავის ტრაპზე არ გამოჩნდა. მაშინ მოსკოვში დაბრუნებულ და აშკარად უკვე „გამოშუშებულ" რუსეთის პრეზიდენტს საბაბის პოვნა არ გაჭირვებია - **„Ну, проспал, с кем не бывало!"**.

დღეს მთელი მსოფლიო ერთი გულის ცემას უყურადებს. ეს გული ისეთივეა, როგორც მილიონობით სხვა ინფარქტგადატანილი ავადმყოფი გული. მაგრამ მას სხვებისგან ის გამოარჩევს, რომ იგი პრეზიდენტს ეკუთვნის, რუსეთის პრეზიდენტს.

მერე და რა მოხდა ისეთი, რამაც მსოფლიო შეაშფოთა? მართლაც, კრემლს ამ საუკუნეში ავადმყოფების მმართველობის მდიდარი გამოცდილება აქვს. ელცინი პირველი არაა და, შეიძლება, არც უკანასკნელი. სამწუხარო ტრადიცია ოქტომბრის რევოლუციიდან ათი თვის შემდეგ პირველივე ბელადმა გახსნა, რომელმაც ქვეყანა 1924 წლამდე ისე „მართა", რომ შერაცხადი იშვიათად ეთქმოდა. მისი საქმის გამგრძელებლებს ორმოცდაათი წლის განმავლობაში არაფერი უშავდათ, მაგრამ სამოცდაათიანი წლების ბოლოდან ოთხმოციანის შუამდე სამმა გენერალურმა მდივანმა ყველა „რეკორდი" მოხსნა. პირველი 18-წლიანი ვადის ბოლო 6-7 წელიწადი ღრმად ავადმყოფი იყო, მისი ორი წელიწადნახევრიანი შემცვლელი კი მოვალეობის შესრულებას ნახევრადმკვდარი შეუდგა და საბოლოოდ მკვდარი ჩამოსცილდა.

ელცინი სათავეში საკმაოდ ჯანმრთელი მოვიდა - გარეშე თვალისთვის ასე ჩანდა. ის ენერგია, რომლითაც იგი საძირკველმორყეული საბჭოთა კავშირის ნგრევასა და დარჩენილ სივრცეში გაპრეზიდენტებას შეუდგა, აშკარად მეტყველებდა ძლიერ ხელსა და ძლიერ გულზე. თუმცა, პატარ-პატარა შეცოდებანი ჯანმრთელობის წინაშე ელცინს ყოველთვის ახასიათებდა - ყველას ახსოვს, აშშ-დან უკანა გზაზე როგორ გადაწყვიტა ელცინმა მოულოდნელად რეიკიავიკში დაშვება, რის გამოც ისლანდიის პრეზიდენტი იძულებული იყო შეეწყვიტა ოფიციალური ვიზიტი ახალ ზელანდიაში და სამშობლოში დაბრუნებულიყო, ბორის ნიკოლოზის ძე კი თვითმფრინავის ტრაპზე არ გამოჩნდა. მაშინ მოსკოვში დაბრუნებულ და აშკარად უკვე „გამოშუშებულ" რუსეთის პრეზიდენტს საბაბის პოვნა არ გაჭირვებია - „Ну, проспал, с кем не бывало!".

მას შემდეგ ელცინმა ერთი საპრეზიდენტო ვადა მოილია, არჩევნებიც მოიგო და მოვალეობის შესრულებას ის-ის იყო მეორედ უნდა შედგომოდა, რომ სავსებით გაქრა ტელეეკრანებიდან და გაზეთების პირველი გვერდებიდან. აგვისტოს ბოლოს ყველაზე გავლენიანი ტელეკომპანია სი-ენ-ენი უკვე კითხულობდა: „საერთოდ თუა ცოცხალი რუსეთის პრეზიდენტი?"



ჩურჩული რუსეთის ხელისუფლებაში

მისი არყოფნის გამართლება ჯერ შვებულებით სცადეს, მაგრამ მალე იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ, რომ „დაძაბულმა საარჩევნო მარათონმა ელცინის ჯანმრთელობა შეარყია და იგი დროებით შემცირებული გრაფიკით მუშაობს".

მართლაც, კანდიდატმა ელცინმა მაის-ივნისში იმდენი იმოგზაურა, იმდენი სიტყვა წარმოთქვა, ბოლოსდაბოლოს, იმდენი იცეკვა „იაბლოჩკო", რომ ჯერ ხმა დაკარგა, შემდეგ კი 17 ივნისს საერთოდ გაქრა ამომრჩეველთა თვალთახედვიდან.

მხოლოდ 5 სექტემბერს განაცხადა თავად პრეზიდენტმა, რომ ექიმებმა მას გულის მწვავე დაავადება აღმოუჩინეს და რომ იგი ოპერაციაზე დათანხმდა, რადგან მეორე ვარიანტი - მუშაობის შემცირებული გრაფიკი სიცოცხლის ბოლომდე, მას არ აწყობს.

ის ყველაფერი, რაც ელცინის ავადმყოფობის ისტორიაში წერია, საკმაოდ დამთრგუნველი მოსასმენია - გულის კუნთის იშემიური დაავადება, კარდიოსკლეროზი, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის მოშლა და მძიმე სტენოკარდია. მაგრამ არსებობს კიდევ უფრო ვრცელი სია, რომელიც მოყავთ მის ყოფილ თანამშრომლებს და რომელსაც ახლანდელები არ (ვერ?) უარყოფენ: შუა ყურის ქრონიკული ანთება, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულება, ღვიძლის ციროზი და თირკმლების უკმარისობა.

სექტემბრის დასაწყისში კი გაჩნდა სავსებით სამთავრობო სააგენტო „ინტერფაქსის" ცნობა იმის თაობაზე, რომ ელცინს უკანასკნელ წლებში გადატანილი აქვს მიოკარდის რამდენიმე ინფარქტი, მათ შორის ბოლო - პირველ და მეორე ტურებს შორის პერიოდში. არც ეს ინფორმაცია უარუყვია ვინმეს.

როგორც კი ელცინს მძიმე ავადმყოფობა დაუდგინდა, მოწინავე ქვეყნების პრეზიდენტებმა მას თავისი საუკეთესო ექიმები შესთავაზეს, კლინტონმა კი მსოფლიოში №1 კარდიოქირურგად ცნობილ მაიკლ დებეიკის დაავალა სასწრაფოდ მოსკოვში გაფრენა და „პრეზიდენტის განკარგულებაში ყოფნა სრულ გამოჯანმრთელებამდე".

დაიწყო ინტენსიური კონსულტაციები რუს და უცხოელ ექიმებს შორის. 26 სექტემბერს შედგა კონსილიუმი, რომელმაც მიზანშეწონილად მიიჩნია ელცინისთვის აორტოკორონარული შუნტირების (დაზიანებულ სისხლძარღვთა „მოვლითი გზის" შექმნა გულის ნორმალური კვებისთვის) ოპერაციის 6-10 კვირით გადატანა, რათა ამ ვადაში მოხდეს ავადმყოფი გულის თერაპიული მკურნალობა და ქირურგიულმა ჩარევამ 100%-იანი შედეგი გამოიღოს.

ექიმებმა, რა თქმა უნდა, უკეთ იციან, მაგრამ პოლიტიკოსებს მაინც ეჭვები ღრღნით - ის, რომ ამერიკელი ექიმის ხელმძღვანელობით გაართულმა კონსილიუმმა ოპერაცია ნოემბრის ბოლოსათვის გადადო, იმასთან ხომ არაა დაკავშირებული, რომ 5 ნოემბერს ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება და კლინტონს სურს, ამ თარიღისთვის მეტ-ნაკლებად სტაბილური რუსეთის კოზირი ჰქონდეს?

ოპერაციის გადადების შესახებ ცნობის გავრცელებისთანავე უდიდესი ზარალი ნახა რუსეთის ეკონომიკამ - მთელს მსოფლიოში მისი საწარმოების აქციები ერთბაშად 10%-ით გაიაფდა.

ასეა თუ ისე, გადაწყვეტილება მიიღეს და ელცინს ბიულეტენი ავტომატურად ორი თვით გაუგრძელდა. უმთავრესმა ოპონენტმა, გენადი ზიუგანოვმა დათვალა პრეზიდენტის მიერ 1995 და 1996 წლებში ნაავადმყოფარი დღეები და გამოარკვია, რომ ოპერაციის შემდგომი ორიოდე აღდგენითი თვის ჩათვლით ელცინი სარეცელზე წოლის 14 თვეს შეასრულებს! მისი „განაჩენი" ცალსახაა - ელცინი უნდა გადადგეს და უფლებამოსილებანი, კონსტიტუციისამებრ, ჩერნომირდინს გადააბაროს, რის შემდეგაც, იმავე კონსტიტუციის მიხედვით, 3 თვის ვადაში ახალი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს.

ამასვე ურჩევს მოქმედ პრეზიდენტს ყოფილიც - მიხეილ გორბაჩოვი. მისი თქმით, საბჭოთა კავშირი სწორედ ავადმყოფი ხელმძღვანელების გამო დაიშალა და დღეს რუსეთს იგივე საფრთხე ემუქრება. მაგრამ გორბაჩოვს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი რჩება ყურადღების მიღმა. საბჭოთა კავშირი ბრეჟნევის, ანდროპოვისა და ჩერნენკოს მმართველობის წლებში გაცილებით უფრო სტაბილური ქვეყანა იყო და ყველა აწყობილი სტრუქტურა სისტემის ჩვეულ მუშაობას უზრუნველყოფდა. ახლანდელი რუსეთი კი თვალსა და ხელს შუა კარგავს ტერიტორიებსაც და ეკონომიკურ სიძლიერესაც.

მართლაც, გაირკვა თუ არა ელცინის ჯანმრთელობის რეალური მდგომარეობა, რუსეთში ყველამ მისი შემცვლელის კანდიდატურის ძებნა დაიწყო. გამონთავისუფლებული ძალაუფლების დასაკუთრების მცდელობაში ერთმანეთს წაეკიდნენ პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი და უშიშროების საბჭოს მდივანი. პირველებმა ეს უკანასკნელი მოკლე ხანში ჩამოიშორეს კიდევაც და მის ადგილზე „უპრობლემო" რიბკინი გაიყვანეს.

აირია მონასტერი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ელცინი რადიოეთერითა და პრესით გამოვიდა და განაცხადა: „რუსეთს ჰყავს მოქმედი პრეზიდენტი. მე მოგიწოდებთ, არ შეცვალოთ პორტრეტები". მაგრამ მოწოდება ცოტა ვინმემ აღიქვა, როგორც [illegible] ლებელი, ყველას კარგად ესმის, რომ [illegible] ინფარქტგადატანილი გულისათვის (თვით მ.დებეიკიმაც ვერ გამორიცხა წარსულში ინფარქტების შესაძლებლობა) არ იქნება იოლი ოპერაციის გადატანა.

დღეს დუმა განიხილავს კანონპროექტს „უმაღლეს თანამდებობის პირთა სამედიცინო შემოწმების შესახებ", რომელმაც მომავალში უნდა დააზღვიოს რუსეთი მძიმედ ავადმყოფი ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლისაგან. მანამდე კი ქვეყანა იძულებულია, ელოდოს ოპერაციას და იმკითხაოს, შეძლებს თუ არა სამოცდაათს მიახლოებული და გადაღლილი გული უწინდელი შრომისუნარიანობის აღდგენას.

მდგომარეობა რომ მართლაც მძიმეა, იქიდანაც აშკარაა, რომ ელცინის პრესმდივნის განცხადებით, 28 ოქტომბერს პრეზიდენტს საერთოდ აუკრძალეს მუშაობა, ე.ი. საბუთების 2 საათიანი გაცნობაც ამიერიდან წარსულს ჩაბარდება და ქვეყნის მეთაური საერთოდ გამოეთიშება მიმდინარე პროცესებს. ძნელი გამოსაცნობია, შეძლებენ თუ არა ძალაუფლების განაწილებაზე შეთანხმებას პრემიერ-მინისტრი, რომელსაც პრეზიდენტის არყოფნის დროს მისი მოვალეობის შესრულება ევალება და პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი, რომელსაც ელცინის ხელმოწერის ფაქსიმილეა აბარია. ჯერჯერობით ჩერნომირდინი და ჩუბაისი ამას ახერხებენ, ყოველ შემთხვევაში, ცნობები წარმოქმნილი აშკარა უთანხმოებების შესახებ არ არსებობს.



ჩერნომირდინი: რა დრო დამრჩა პრეზიდენტობამდე

განვლილ კვირაში მათ ერთად მოინახულეს უშიშროების ფედერალური სამსახური, სადაც მის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს შეხვდნენ. ელცინის დღევანდელ რეგენტებს არ დაუმალავთ, რომ მათი მთავარი ინტერესის საგანს შეადგენდა სიტუაცია რუსეთში. იგი კი კრიტიკულია - რეგიონების დიდ ნაწილში მიმდინარეობს გუბერნატორთა არჩევნები და მათ ძირითადად კომუნისტები იგებენ; ბუნტის ზღვარზეა მისული რუსეთის არმია, რომელსაც ივნისს შემდეგ ფულადი ანაზღაურება აღარ მიუღია და ახლა სამასი ათასი სამხედრო მოსამსახურით შემცირებას უპირებენ; ორშაბათს მსოფლიო ბანკმა უარი უთხრა რუსეთს მორიგი ტრანშის - 345 მილიონი დოლარის გამოყოფაზე, რადგან ჩათვალა, რომ ჩერნომირდინის მთავრობა არ მისდევს რეფორმათა კურსს.

მოკლედ, რუსეთს ცუდი დღეები დაუდგა. არავინ იცის, შეძლებს თუ არა ქვეყანა ძველი პორტრეტების შენარჩუნებით სახის შენარჩუნებასაც, თუ ამ პორტრეტებს თავის არამდგრად სტაბილურობასა და სახელმწიფოებრიობასაც გადააყოლებს.



ელცინი: ცოცხალი ვარ, ცოცხალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

# ნოდარ დუმბაძის იუმორი

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა



## „კომბინატორი (აკაკი გეწაძის ჩანაწერი)

ერთმა კომბინატორმა შესჩივლა ნოდარს:

– აღარ შემიძლია, სულ დამჭირა მელანდიება, უნდა მოვშორდე აქაურობას, წავალ სოფელში, ავიღებ ბარს და ბაბუაჩემის დანატოვარ ვენახს მოვუვლი.

– ე, სწორედ მაშინ დაგიჭერენ! – უთხრა ნოდარმა.

– რატომ?!

– ეგონებათ, რომ დამარხულ ფულს თხრი და სანამ მართლა არ გაპოვნინებენ და არ ჩამოგართმევენ, სულს წამებით ამოგხდიან.

## ნიკო კეცხოველი

მახსოვს, ბატონმა ნიკო კეცხოველმა მითხრა ერთხელ:

– რა გიყო, ბიჭო, შენა, ფილოლოგიურზე ხომ არ გადაგიყვანო?

– ცოტას ვიფიქრებ, ბატონო ნიკო! – ვთხოვე.

– კარგი, იფიქრე!

ერთი კვირის შემდეგ მეძახის და მეკითხება:

– რა ქენი, იფიქრე?

– ვიფიქრე, ბატონო ნიკო.

– მერე?

– გადავწყვიტე ეკონომიურზე დავრჩე.

– რათა?

– ეკონომისტი რომ ვარ, ბატონო ნიკო, იმიტომ უკვირთ ჩემი პოეტობა, თორემ ფილოლოგი თუ გავხდი, ვილას გაუკვირდება.

– ეგეც მართალია. – მითხრა ბატონმა ნიკომ...

## ილიკო

სტუდენტურ არდადეგებზე გადავწყვიტე ბებიას დავხმარებოდი. ბებიამ დიდხანს ეძება სამუშაო საყვარელი შვილიშვილისათვის და ბოლოს მთხოვა ბოსტნის ბოლოში ტუალეტი ამეშენებინა.

ადრე დილიდან შევუდექი საქმეს. ვხერხავდი, ვაშალაშინებდი, დავრბოდი ნაჯახითა და ჩაქუჩით და... რადგან ჩემი კვალიფიკაცია დაბალი იყო, მომავალი ტუალეტი რაღაც წარმოუდგენელი დიდი ზომების გამომივიდა. საღამოს ილიკოც გამოჩნდა დიდხანს ათვალიერა ჩემი ნამუშევარი, მერე მითხრა:

– რა არის, ნოდარ, ეყოფა ბებიაშენს?..

## მოგზაურობა ამერიკაში

ჯეკ ლონდონის სახლ-მუზეუმის და საფლავის სანახავად მივქროდით მანქანით. ჩვენმა მძღოლმა დაუშვებელი სიჩქარე განავითარა. საიდან და როდის დაგვეწია პოლიციის მანქანა, ჩემთვის დღესაც გამოცანაა.

ჩვენი მძღოლი ვალენტინ კატაევის ავტორიტეტმა გადაარჩინა. მისი წიგნები წაკითხული ჰქონია თურმე პოლიციელს. მან კეთილი მგზავრობა გვისურვა, თან დასძინა:

– ისე ნუ იჩქარებთ, რომ ვიდრე ჯეკ ლონდონის სახლ-მუზეუმს ნახავთ, თვითონ ჯეკ ლონდონი ნახოთ...

* * *

ერთმა ზანგმა სტუდენტმა თავისი ტომის რამდენიმე მწერალი ჩამომითვალა. მე ალექს ჰეილის გარდა არც ერთი არ ვიცოდი.

– ჩვენ რომ გვსაყვედურობდით, არც თქვენ გცოდნიათ მაინცდამაინც ბევრი, – მითხრა სიცილით.

ამაზე ათასნაირი პასუხის მოძებნა შემეძლო, მაგრამ ყველაზე უპრიანი ჩვენი პოეტის ოთარ მამფორიას ხუმრობა მომეჩვენა:

– მე თქვენ მკითხველი ხომ არ გგონივართ, მწერალი ვარ-მეთქი, – ვუპასუხე.

ამ პასუხმა ისეთი ხარხარი გამოიწვია დარბაზში, რომ ზანგი სტუდენტი მოვიდა და გადამეხვია...

## დანა-ჩანგალი (აკაკი გეწაძის ჩანაწერი)

ნოდარის ერთ მეგობარს ქორწილზე მიართვეს შვიდი დუჟინი დანა-ჩანგალი, ყველა ერთნაირად ბლაგვი. ნოდარმა თქვა:

– ეს დანა-ჩანგალი მხოლოდ იმისთვის გამოდგება, როცა დაგივარდება, გაიგო, სტუმრად ქალი მოდის თუ კაცი.

## თანაავტორები (იგონებს ნოდარ მალაზონია)

დაბნეულობა, საუბარში მოულოდნელად გამოთიშვა, სადღაც გონებითა და სხეულითაც კი, შენს თვალწინ წამიერი გაუჩინარება იცის.

– ეეხ... – დაბრუნდა მიწაზე დუმბაძე (ეს ამოოხვრაც კი განუმეორებელი და თავისებურია).

– რა იყო?

– რა იყო, ბიჭო, და, აი „ილიკო და ილარიონი", თურმე, მათივე დაწერილი ყოფილა, „მე ვხედავ მზეს" – გუგუნავებისა (მეუღლის გვარია), „მზიანი ღამე" – დედაჩემს დაუწერია. „ნუ გეშინია დედა" – პაგრანიჩნიკებმა დამიწერეს, ახლა იმაზე ვფიქრობ, ეს ტიგრან გულოიანი რომ ცოცხალი იყოს და ერთ დღეს მომადგეს, „თეთრი ბაირაღების" ჰონორარი გამიყავიო, სად წავიდე მერე?

## სიყვარული

ნანა კანდელაკი იგონებს:

ერთხელ შუაღამისას „ნიანგის" თანამშრომელმა მიშა კუხალაშვილმა ნოდარ დუმბაძეს დაურეკა. ნოდარმა აღელვებით ჰკითხა, ხომ არაფერი შეგემთხვაო?

– მიყვარხარ ნოდარია, სხვა რა უნდა მომხდარიყო. – მიუგო ნაბახუსევმა მიშამ და ყურმილი დაკიდა.

ორი საათის შემდეგ ნოდარმა დაურეკა:

– დიდი მადლობა, ჩემო მიშა, ასე ძალიან რომ გიყვარვარ...

– კი, მაგრამ... მაგ მადლობას სამსახურში ვერ მეტყოდი, ამ გამთენიისას რომ მირეკავ? – აბუზღუნდა მიშა.

– ვიფიქრე, დილამდე არ გაცივებულიყო ჩემი მადლობა, თანაც თუ უძილობაა, ბარემ ერთად ვათიოთ სიყვარულის გამო ეს ღამე!..

მიშას გაეცინა და თავისი ბოხი ხმით ჩასძახა ყურმილს:

– ასე გაგებული რომ ხარ, ჩემო ნოდარ, ყველაფერში, იმიტომ მიყვარხარ, ხომ ხვდები?..

## „ნიკორწმინდა" (იგონებს ნოდარ მალაზონია)

– მოი, მამა, აგერ! – ეძახის თავის ხუთი წლის ქეთინოს ნოდარი. – უთხარი ერთი ბიძიას ლექსი! – ქეთინომ „ნიკორწმინდა" თავიდან ბოლომდე უშეცდომოდ ჩაარაკრაკა.

– რა არის, ბიჭო, ეს? – გაკვირვებული ვამბობ მე. – შენ შენს ბავშვებს გალაკტიონს ასწავლი და მე შენი უნიჭო ლექსებით გამაზრდევინე ბალღები?!

დუმბაძე გულიანად იცინის.

## ოდესა

– წავიდეთ, – უთხრეს ერთხელ ბატონ ნოდარს, – გივის სახლში ოდესა ჰქონია და ცოტა წავიქეიფოთ.

– გივის ოდესაში სახლი რომ ჰქონდა, ვიცოდი, მაგრამ სახლში თუ ოდესა აქვს, ძალიან კარგი, წავიდეთ!

## რედაქტორთან

ჟურნალი „ცისკარი" ახალი დაარსებულია. რედაქტორის ვახტანგ ჭელიძის კაბინეტში ჟურნალის მორიგი ნომრის მაკეტზე საუბრობენ.

საქმით გართულ რედაქტორს დაავიწყდა, თანამშრომლებისათვის დასხდითო რომ ეთქვა.

ითმინა ნოდარმა, ითმინა და ბოლოს ვეღარ მოითმინა:

– ბატონო ვახტანგ, აი ფეხები სანამ ზედა ნაწილში არ შემესობა, არ დამსვამ?

## უცხო ენა

ერთი ამერიკელი მწერალი თბილისში სტუმრად იყო. ნოდარს ინგლისურად მიესალმა.

– უთხარით, რომ სკოლაში გერმანულს მასწავლიდნენ, – სთხოვა ნოდარმა თარჯიმანს.

ამერიკელი მაშინვე გერმანულზე გადავიდა.

– ახლა ისიც უთხარით, რომ ისინი კი მასწავლიდნენ, მაგრამ მე არ ვსწავლობდი-თქო, – დააზუსტა ნოდარმა.

## კონსილიუმი

ნოდარს მეუღლე გაუხდა ავად. მოიწვიეს კონსილიუმი. ბევრი ილაპარაკეს. კონსილიუმის შემდეგ მედიცინის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ნოდართან რიგ-რიგობით მიდიოდნენ და ეუბნებოდნენ, ეს ჩემი ავადმყოფი არააო.

ავადმყოფი რომ ჩემია, ეს მეც ვიცი, თქვენ ის მითხარით, რა სჭირსო, უთქვამს ბოლოს შეწუხებულ ნოდარს.

## რა უნდა ჩემგან?!. (იგონებს ჯანსუღ ჩარკვიანი)

ვიღაცამ სცადა ნოდარის გაკრიტიკება, სცადა, ვერ კი შეასრულა ნოდარმა მაინც მოიწყინა და მე გამანდო, ჯანსუღა, ძამა, რა უნდა იმ კაცს ჩემგან, ხომ არ იციო. ჩვენში დარჩეს და, ნოდარი ბოლო წლებში, როცა ავადმყოფობა მიეძალა, ყველაფერს განიცდიდა და ყველაფერზე ეჭვს გამოთქვამდა.

მე შევატყვე, რომ ძალიან ნაწყენი იყო და უმალ ვუპასუხე: ნოდარ, ახლა შენ შენით თუ მეიჭამ ფეხებს, თვარა ვერავინ ვერ მოგჭამს-მეთქი.

ჰო, რა გაუხარდა.

## ძეგლი

სერგო ორჯონიკიძის ძეგლის გახსნაა. ერთმა თანამდებობის პირმა ნოდარს ჩაულაპარაკა:

– ძალიან ცუდი ადგილი შეურჩევიათ ძეგლისათვის!

– საქართველოში კარგი ადგილი რაც იყო, გააჩუქა მაგ შეჩვენებულმა და რაც დარჩა, აგია! – გაეპასუხა ნოდარი.

## ორი ჯოხი

ნოდარს ჩინეთიდან ჩინურ ენაზე გამოცემული თავისი წიგნი გამოუგზავნეს. როდესაც ამანათი გახსნა, პირველ რიგში იმ ადგილს დაუწყო თვალიერება, სადაც მისი სახელი და გვარი ეწერა. იეროგლიფების დანახვაზე ღიმილით თქვა:

– თავი კაცი მეგონა, თურმე ორი ჯოხი ვყოფილვარ!

## მასპინძელი

– ჩავიდოდი თუ არა მშობლიურ სოფელში, – ჰყვებოდა ბატონი ნოდარი, – იწყებოდა მიპატიჟება-გადმოპატიჟება. მოგეხსენებათ, ამ ბოლო ხანს საქართველოში და მათ შორის გურიაშიც ძლიერ გახშირდა ე.წ. გაკეთებული ღვინო, შაქარ-წყალს რომ ეძახიან ჩვენებურად. „გაკეთებული ღვინო", როგორც წესი, დასალევად კარგია, მაგრამ შესარგებად არცთუ მთლად უწყინარი და ხშირად ქეიფი სუფრის მიღმა ლობესთან, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ლებინებით მთავრდებოდა.

ერთ წელიწადს, მრავალი ასეთი გადაპატიჟების შემდეგ, ის იყო ჩემი შვებულება ამოიწურა, ბარგი-ბარხანა შევკარი და მანქანაში შევუდექი მათ ჩაწყობას, რომ ერთი ჩემი მეზობელი ჭიშკარს მოადგა. რომ დაინახა წასასვლელად ვემზადებოდი, შეშფოთებით მკითხა:

– რას შვრები, ნოდარია, ბიჭო, ასე რად აჩქარებულხარ?

– რა ვქნა, შვებულება ქე შემომადნა ხელში, ძამა და უნდა გავუდგე აწი გზას თბილისისაკენ. – მივუგე მე.

– რავა, შე კაცო, ისე უნდა წახვიდე, რომ წელს ჩემს ეზოში არ უნდა არწყიო ერთი, რას იტყვის სოფელი, ა?! – გაიღიმა მან, მკლავში ხელი გამომდო და ნახევრად ძალით, ნახევრად ჩემით თავისი კარმიდამოსაკენ წამიყვანა...

## აგარაკზე

ნოდარს სტუმარი ჰყავდა. იგი ისე ჩქარა ლაპარაკობდა, რომ მსმენელები ვერაფერს იგებდნენ.

– რატომ ლაპარაკობს ეს კაცი ასე ჩქარა? – იკითხა ნოდარის შვილიშვილმა.

– შვებულება უთავდება, ბაბუ, და ეშინია, რამე არ დარჩეს უთქმელი! – აუხსნა ნოდარმა.

## კრიტიკა

კრიტიკის თაობაზე ვიცი ერთი ხუმრობა, რომელსაც მე მომაწერენ, მაგრამ იგი ჩემი არაა. კრიტიკა ისევე ეხმარება ლიტერატურის წინსვლას, როგორც ასტრონომია – პლანეტების მოძრაობას.

## როგორა ხარ? (ჩაიწერა აკაკი გეწაძემ)

ნოდარმა თქვა: მწერალმა მწერალს არ უნდა უთხრას: ისე ვარ, როგორც მკითხულობო. ეგება ის მეორე მის წიგნებს სულაც არ კითხულობს.

## არიქა, გამოიქეცი!

ერთი თბილისელი კაცი ზესტაფონის სადგურში ჩასულა მჭადის და მჟავე პრასის საყიდლად, ვიდრე გამყიდველ ბიჭს ევაჭრებოდა, მატარებელი დაძრულა.

– არიქა, გამოიქეცი, არ დარჩე! – უყვიროდნენ დარჩენილს თურმე დაძრული მატარებლიდან.

– დარჩეს, ბატონო, რავა, ჩვენ სულ აქანე არა ვართ? – დაუმშვიდებია შეშინებული მგზავრები ბაქანზე მდგომ გლეხს.

## ენა

1978 წელს გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი. იმდროინდელი ამბები ყველას გვახსოვს. პროექტში სახელმწიფო ენად აღარ იყო ქართული ენა.

– ახლა, ძამა, ენას ერთმანეთს თუ გამოვუყოფთ, თუ არა, ისე სხვა არაფერში გამოგვადგება. – უთქვამს ნოდარ დუმბაძეს.

პოლემიკა

# ქვის ნაყვა...

მესმის, რომ გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე „აღდგომის“ რედაქტორის, ბატონ მურმან ზაქარაიას ხსენება, მისთვის რეკლამისა და პოპულარობის მომტანია, თუნდაც უარყოფით კონტექსტში. ალბათ, ამიტომაც გამიმართა უმნიშვნელო საკითხზე ესოდენ ფართო „კამათი“. ჩემს ეჭვს ისიც ამართლებს, რომ ამასწინანდელ მოკლე რეპლიკას („საქართველო“ №48) თავის „აღდგომაში“ საკმაოდ ვრცელი „პასუხი“ უძღვნა. იგი გახლავთ იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ხელოვნურად, თითიდან გამოწოვილი აზრებით „პასუხის გაცემა“.

სასიამოვნოა, რომ მოკამათემ ჩემი შენიშვნა გაითვალისწინა და ამჯერად ზრდილობიანი ფორმით მომმართა. როგორც ჩანს, ჩემმა პირველმა გაკვეთილმა ნაყოფი გამოიღო, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით მისი ლოგიკური აზროვნების მიმართ. მაგალითად, მე ვწერდი, რომ არაფერი მაქვს საწინააღმდეგო ოპონენტთან იმ საკითხში, თითქოს საქართველო აგენტებით არ იყოს სავსე. პატივცემული ზაქარაია კი კვლავ თავგამოდებით უმტკიცებს მკითხველთ, თითქოს მე საპირისპიროს ვამბობდე.

როგორ მოვიქცე? დედას ხომ არ დავიფიცებ! კაცს ვუდასტურებ, კი, ბატონო, აგენტები ბლომად გვყავს, საკამათო არ არის - მეთქი, ის მაინც თავისას გაიძახის და „მაკრიტიკებს“ - აგენტების სიმრავლეს უარყოფსო (?)

ასეა საქმე სხვა საკითხებთან მიმართებაშიც.

მარტო ბრალდება ჩემი „მეგრელოფობიის“ გამორად ღირს. რა ვქნა ახლა, ვუმტკიცო, რომ სამეგრელო, ანუ საკუთარი სამშობლო, ანუ საკუთარი დედა არ მძულს?..

ვუმტკიცო, რომ ჩემი სამშობლო ეს არის სამეგრელოც, იმერეთიც, კახეთიც, სვანეთიც, აფხაზეთიც, გურიაც, მესხეთიც, რაჭაც, თუშ-ფშავ-ხევსურეთიც, მთიულეთიც, ქართლიც ცალ-ცალკე და ყველა ერთად. ეს ვუმტკიცო?

თუმცა ჩემი ოპონენტი ის კაცი ჩანს, არაფერი რომ არ უნდა ედიალოგო, რადგან ეს ქვის ნაყვა იქნება.

ჩემის მხრივ, ამ უსიამო პროცესს მის მიმართ აღარ გავიმეორებ...

გუგაზ მეგრელიძე

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია სამძიმარს უცხადებს ნუკრი ჭეიშვილს, მამის

დემურ ჭეიშვილის

გარდაცვალების გამო.
პანაშვიდი – ხუთშაბათს, პარასკევს 16 სთ–ზე
გამოსვენება – შაბათს, 15 სთ–ზე
მისამართი: ვაზისუბანი, მე–4 მ/რ I კვ. 14 კორპ. ბ. 105

# ვნებათაღელვა

## ფირმა „წიდა“-სა და რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს შორის წარმოქმნილი დავის შესახებ

**კერძო** და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ატეხილი დავის შესახებ საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგამ გაავრცელა შემდეგი განცხადება.

1987 წელს საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი მატერიალური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის მეორეული ნედლეულის სამმართველოსთან შეიქმნა საწარმოო კოოპერატივი „წიდა“ (1991 წლიდან შპს „წიდა“), რომლის მიზანი იყო რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ტექნოლოგიური ნარჩენების - წიდების გადამუშავება. აღსანიშნავია, რომ წიდაში (იგი რუსთავის კომბინატს სისტემატიურად შეაქვს მიმდებარე ტყის ტერიტორიაზე) ლითონის ნარჩენები 7-8% აღწევს და წარმოადგენს მეტალურგიული წარმოებისთვის ერთგვარი ნედლეულის მარაგს ფოლადისა და თუჯის ჯართის სახით, რომელიც შეიძლება დახარისხდეს გაბარიტულ და არაგაბარიტულ ლითონის ჯართად.

1989 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად კოოპერატივ „წიდა“-ს გადაეცა გადასამუშავებლად წიდასაყრელები, რომლებიც მდებარეობს რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ძირითადი ტერიტორიის გარეთ, ხოლო „გრუზიმპექსს“ დაევალა ამოღებული ლითონის რეალიზაცია საგარეო ბაზარზე კონვერტირებად ვალუტაში.

ფირმა „წიდას“ შემუშავებული ჰქონდა წარმოების ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც საათში 25 ტონა წიდას ამუშავებდა. ამ ტექნოლოგიის სრულყოფის შედეგად ფირმის პრეზიდენტმა ოთარ დოლიძემ 1992 წელს მიიღო საქართველოს პატენტი.

1991 წელს ფირმა „წიდამ“ აამოქმედა წიდის გადამუშავების მეორე ხაზი, ხოლო 1992 წელს - მესამე ხაზი, რომელიც ერთობლივად ამუშავებდნენ ერთი სამუშაო დღის განმავლობაში 1200 ტონა წიდას, რაც იძლეოდა 100 ტონამდე ჯართს.

დავა ფირმა „წიდა“-სა და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას შორის გამოწვეულია მხარეებს შორის 1992 წლის 3 მარტს დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევით.

ძირითადი სადავო საკითხია წიდიდან ამოღებული ლითონის ჯართის შეთანხმებული ფასის ცალმხრივად გაუქმება, თუმცა არის სხვა სახის დარღვევებიც. მხარეთა შორის ხელშეკრულებით 1 ტონა ფოლადის ჯართის ფასი შეადგენდა 550 მანეთს, ხოლო 1 ტონა თუჯის ჯართის - 1000 მანეთს. რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა აღნიშნული ხელშეკრულება ცალმხრივად [illegible] და ფირმა „წიდას“ შესთავაზა ახალი ხელშეკრულება, რომელიც ჩასაბარებელ ერთ ტონა ლითონის გაბარიტულ ჯართში სთავაზობდა 100 მანეთს, ხოლო არაგაბარიტულ ჯართში - 80 მანეთს, ხოლო ე.წ. „დანაგვიანების კოეფიციენტის“ 30 პროცენტიანი ფასდაკლების გათვალისწინებით 1 ტონა გაბარიტულ ჯართში გადაუხდიდნენ 70 მანეთს და არაგაბარიტულში - 56 მანეთს. ორივე ხელშეკრულებაში მოცემული ფასები მნიშვნელოვნად მცირეა იმ რეალურ ფასებთან შედარებით, რომელიც გათვალისწინებული იყო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 15 ივნისის დადგენილებით, რომლის თანახმადაც „საქმეორშავლითს“ განსაზღვრული ჰქონდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის მისაწოდებელი მეორეული შავი ლითონის სახელშეკრულებო ფასები. აღნიშნული ფასები იმ პერიოდისთვის 2675 მანეთიდან 3540 მანეთამდე მერყეობდა, რაც სრულიად განსხვავდებოდა შემოთავაზებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასებისაგან.

ფირმა „წიდამ“, ითვალისწინებდა რა იმ პერიოდში არსებულ ფასებს, შეიძინა ტექნოლოგიები დაააწყო წარმოება ამ ფასების გათვალისწინებით. მისმა ცალმხრივმა, აშკარად არარეალურმა და ყოველგვარ ეკონომიკურ ლოგიკას მოკლებულმა გადასინჯვამ გამოიწვია ფირმისთვის პერსპექტივის მოსპობა, რენტაბლობის მკვეთრი დაცემა და წარმოების გაკოტრება.

„წიდა“-ს საქმიანობის შეჩერების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გამხდარიყო საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 20 თებერვლის განკარგულება, რომლის ერთ-ერთ პუნქტში აღნიშნულია, რომ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის წიდასაყრელზე მომუშავე ყველა ორგანიზაციამ მიღებული ჯართი შეთანხმებულ ფასებში ჩააბაროს მხოლოდ მეტალურგიულ ქარხანას. მიუხედავად იმისა, რომ დებულების აღნიშნული მუხლი ეწინააღმდეგება მაშინ მოქმედ კანონს „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“, რომლის თანახმადაც მეწარმეს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საქმიანობის მიმართულებები, აირჩიოს მომწოდებლები და მომხმარებლები, იგი მაინც არ ცვლიდა მთავრობის მიერვე 1992 წლის 15 ივნისს მიღებული დადგენილებას, სადაც განსაზღვრული იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის მისაწოდებელი მეორეული შავი ლითონის ფასები. ეს ფასები კი, როგორც უკვე აღინიშნა, იყო მეტნაკლებად რეალური, რომლის მიხედვით საწარმოს შესაძლებლობას აძლევდა ემუშავა რენტაბელურად და რომელიც ათჯერ და უფრო მეტად აღემატებოდა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევის შემდეგ შეთავაზებულ ფასებ!

ფირმა „წიდა“ არ დაეთანხმა მეტალურგიული კომბინატის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტს. საპასუხოდ რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა არბიტრაჟის გზით ფირმა „წიდა“ გამოასახლა წიდასაყრელის ტერიტორიიდან. ამის შემდეგ ფირმა „წიდას“ მხრიდან მოხდა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება. უზენაესმა საარბიტრაჟო სასამართლომ გააუქმა თავისივე გადაწყვეტილების რამდენიმე პროექტი, მათ შორის ფირმა „წიდას“ მიერ წიდასაყრელზე დაკავებული ფართიდან გამოსახლების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არბიტრაჟის პირველი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა უკანონოდ გაიტანა წიდასაყრელის ტერიტორიიდან ფირმა „წიდას“ მიერ სარეალიზაციოდ განკუთვნილი 727.7 ტონა ლითონის ჯართი, რაც დაადასტურა ქ.რუსთავის პროკურატურამ. ამ ქმედებამ კვლავ მიაყენა ზარალი ფირმას.

წარმოქმნილი დაპირისპირების შედეგად ფირმას არ ეძლევა მუშაობის ნორმალურ პირობებში გაგრძელების საშუალება. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა ატარებს მონოპოლიურ პოლიტიკას, რითაც ზიანს აყენებს ეკონომიკის ჯანსაღი სტრუქტურების აღმოცენების საქმეს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავისი ხანმოკლე სამეურნეო საქმიანობის განმავლობაში ფირმა „წიდამ“ რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში სულ შეიტანა 14 ათას ტონამდე გაბარიტული ჯართი. 1992 წლის დეკემბრიდან 1993 წლის აპრილამდე ფირმა „წიდამ“ შეიტანა 3370,4 ტონა ფოლადის და 100 ტონა თუთიის ჯართი, რომლის ღირებულება აუნაზღაურდა იმ პერიოდში რეალურ ფასთან 16-ჯერ ნაკლები ოდენობით. რომ არა ვოლუნტარიზმი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელების მხრიდან, შესაძლებელი იყო მნიშვნელოვანი ფინანსური შედეგების მიღწევა ამ სფეროში.

აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს მოუქნელი მუშაობაც. მიუხედავად იმისა, რომ აგერ უკვე თითქმის ერთი წელიწადია გასული მას შემდეგ, რაც ფირმა „წიდამ“ აღძრა სარჩელი, რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო მიმართავს საქმის გაჭიანურების პოლიტიკას და არ იღებს კანონით გათვალისწინებულ ქმედით ზომებს.

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგა მოუწოდებს კანონიერებისაკენ ყველა მხარეს და მოითხოვს ხელისუფლების სათანადო ორგანოებისაგან ხელი შეუწყოს ახლადფეხადგმული მეწარმეების განვითარებას, კონკრეტულ შემთხვევაში კი დაიცვას ფირმა „წიდას“, როგორც ერთ-ერთი პერსპექტიული საწარმოს კანონიერი უფლებები.

**საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგის მმართველი საბჭო.**



თარაზულად: 3. ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის დაჯგუფების ლიდერი; 5. საქართველოში 1993 წელს ჩამოყალიბებული სამედიცინო კონცერნი; 7. დაზიანებული კბილის ღრუს შემავსებელი ნივთიერება; 9. რუმინულ-მოლდავური ხალხური სიმღერა; 10. მდინარე ლენინგრადის ოლქში; 11. სუფრაზე ღვინის მიმწოდებელი, დამსხმელი; 12. ქალაქი კანადაში; 13. მტაცებელი ნადირი (კარგად დაცოცავს ხეებზე); 14. ნაკლი, ზადი; 16. ერთგვაროვანი მოქმედების, მოძრაობის ნაწილი; 19. ახალი წელი გურიაში; 22. ბელორუსიის პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერი; 23. თანამდებობის პირის წარწერა დოკუმენტზე; 24. საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებული სათამაშო; 25. რელიგიური წესი; 26. ლაღი, თავისუფალი ფრენა (ფრინველისა); 27. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ ქვეყანაში.

შვეულად: 1. ძვირფასი ქვა; 2. პეტრე ამირანაშვილის საოპერო პარტია; 3. ნიუ-იორკის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა კუნძულ მანჰეტენზე; 4. უპატივცემულობის გამომხატველი მეტსახელი მექსიკაში იმ უცხოელისა, რომელიც ესპანურად არ ლაპარაკობს; 5. მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთაგანი; 6. მტკვრის უდიდესი შენაკადი; 7. მოკლე და მსხვილი ჯოხი, რომელსაც ბოლო წაწვეტებული აქვს მიწაში ჩასარჭობად; 8. ნატურალური სიდიდის სანთლის ფიგურების მუზეუმი; 15. ამერიკელი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე; 16. დედამიწის არქტიკული სარტყლის სამხრეთი ზონა - მარადი გაყინულობის უტყეო სივრცე; 17. ძველი, გამოუსადეგარი ნივთები; 18. ლატარიის სახეობა; 20. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე; 21. ხალხური სიმღერა ჰამლეტ გონაშვილის შესრულებით.

გიორგი ბასიტაშვილი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. ქველი; 5. ჩიხირთმა; 7. ნავთლუღი; 9. ბლუმინგი; 10. „ტრავიატა“; 12. სარდინია; 14. ბილიარდი; 16. აფრა; 17. სენა; 18. „ემანუელა“; 21. არმავირი; 26. ელექსირი; 27. ერისთავი; 28. სპარინგი; 29. დირიჟორი; 30. ირისი.

შვეულად: 1. „მოხეური“; 2. ქომაგი; 3. ინაური; 4. მოურავი; 6. რაიხი; 8. თევზი; 9. ბურჯანაძე; 11. აკროსტიქი; 12. სუფლე; 13. „ავარა“; 14. ბირმა; 15. იანძი; 19. უმეცარი; 20. ლასტი; 22. რისკი; 23. ანაფორა; 24. არაგვი; 25. ღრძილი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444